# საერთო გაზეთი

№7 (646)
ოთხშაბათი
2 მარტი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.


## საქართველოს ყველა პატრიოტმა მოქალაქემ მტკიცე მხარდაჭერა უნდა გამოუცხადოს ირაკლი ღარიბაშვილს და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას

### ვინ და რატომ ებრძვის ირაკლი ღარიბაშვილს?

„როგორც პრემიერ-მინისტრი, მე არაფერს გავაკეთებ, არც ერთ გადაწყვეტილებას არ მივიღებ ისეთს, რომელიც რაიმე ფორმით დააზიანებს ქვეყნის ინტერესებს“



### საქართველო რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს რომ შეუერთდეს, ერთ კვირაში ქვეყანა თავზე დაგვემხობა

## გაუმარჯოს უკრაინას, მაგრამ „საქართველო უპირველეს ყოვლისა“



### ედიშერ გვენეტაძე: პუტინის კი არა, ამ პატარ-პატარა ქართველი პუტინიკების მეშინია, რომლებიც მზად არიან თავიანთ სამშობლოს ყელი გამოღადრონ



### რა პრეტენზიები აქვს ვოლოდიმირ ზელენსკის საქართველოსთან?!

## „ნაციონალები“ საქართველოში ომის დაწყებას მოუთმენლად ელოდებიან



### შოთა ყაველაშვილი: (მიმართავს „ნაცმოძრაობას“)

„საზოგადოებას ვუხდი ბოდიშს, ჩვენს და თქვენს შორის ვინაც რუსული საქმე აკეთა და დღემდე აკეთებს, იმის დედას...“



### ვლადიმერ პუტინი: „ეს გახლავთ ვლადიმერ ილიჩ ლენინის სახელობის უკრაინა“

## „საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

## რედაქტორის სვეტი

# მშვიდობის ხაზი საქართველოსთვის

ის, რაც დღეს XXI საუკუნის მსოფლიოში ხდება, გონიერი განსჯის საზღვრებს სცდება და უფრო საყოველთაო ხასიათის შიზოფრენიას ჰგავს.

შუაგულ ევროპაში დაწყებულმა ამ ომმა შეიძლება აპოკალიფსური შედეგები მიიღოს მთელი სამყაროსთვის.

მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები, რომლებიც ერთგვარი გარანტორები უნდა იყვნენ დედამიწაზე მშვიდობის და სტაბილურობის შესანარჩუნებლად, პასუხისმგებლობას ვერ აიცილებენ იმ უდიდესი ტრაგედიის გამო, რაც უკვე მოხდა და რასაც შეიძლება კიდევ უფრო დრამატული გაგრძელებები მოჰყვეს.

დღეს, ვითომდა პროდასავლური ორიენტაციის „ნაცმოძრაობა“ და მისი სატელიტი ოპოზიციური პარტიები, „ქართულ ოცნებას“ და საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებენ, ღიად და ცალმხრივად გამოხატონ თავიანთი მტრული და აგრესიული დამოკიდებულება რუსეთისადმი, რაც სხვა არაფერია, თუ არა პროვოკაცია და ავანტურა, რომელიც ბუმერანგივით შეიძლება შემოუტრიალდეს ჩვენს ქვეყანას.



ერთადერთი სწორი და სახელმწიფოებრივად გამართლებული პოზიციაა ის პოზიცია, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ მოცემულ რთულ ვითარებაში დააფიქსირა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა კიდევ ერთხელ დაუმტკიცა ქართველ ხალხს, რომ ის არის ნამდვილი ეროვნული მოღვაწე, ნამდვილი პატრიოტი, რომლისთვისაც მთავარი ქართული სახელმწიფოს ინტერესებია.

(ამის შესახებ შესანიშნავად საუბრობს ქალბატონი ნინო გიორგობიანი, რომლის განცხადებასაც აქვე გთავაზობთ).

და ბოლოს, ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი, რაც აუცილებლად უნდა ითქვას.

გზა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება და „ქართული ოცნება“ ადგას და რომელმაც ჩვენს ქვეყანას ათწლიანი სტაბილურობა მოუტანა, ეს არის ბიძინა ივანიშვილის მიერ დიდი შრომით და დიდი მოთმინებით გაკვალული გზა.

ამ გზას თამამად შეიძლება ვუწოდოთ ბიძინა ივანიშვილის მშვიდობიანი ხაზი საქართველოსთვის, რომელსაც არც აწმყოში უნდა გადავუხვიოთ და არც მომავალში.

ეს ჩვენი გამარჯვების, თუ გნებავთ, გადარჩენის ხაზია, სიცოცხლის ხაზია, რომელმაც ათასგვარი ფათერაკით დანაღმულ ველზე უხიფათოდ უნდა გადაგვიყვანოს.

ვახტანგ ხარჩილავა

# ნინო გიორგობიანი: ირაკლი ღარიბაშვილი არის ადამიანი, რომელიც ყოველთვის სიმართლეს ამბობს



ირაკლი ღარიბაშვილი არის ადამიანი, რომელიც ყოველთვის სიმართლეს ამბობს და თავის თავზე იღებს დარტყმებს. ამბობს სიმართლეს, რაც უნდა არაპოპულარული იყოს ის.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით:

• საქართველოს არავითარი საფრთხე არ ემუქრება. საქართველო ახორციელებს ეროვნულ, პრაგმატულ პოლიტიკას; ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეროვნული და გაუთვლელი პოლიტიკა საქართველოში დასრულდა.

• ეროვნული ინტერესების და ხალხის ინტერესების გათვალისწინებით, საქართველო არ აპირებს რუსეთისთვის დაწესებულ ფინანსურ და ეკონომიკურ სანქციებს შეუერთდეს;

• ოპოზიციის ამოცანაა, პროვოკაციების მოწყობა და იმ უბედურების განმეორება, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომში მათ ვერ აირიდეს.

• ირაკლი ღარიბაშვილი პიარისთვის უსაფრთხოების საბჭოს სხდომის გამართვასა და პარლამენტში მისვლას არ აპირებს;

• ირაკლი ღარიბაშვილი არც უკრაინაში ჩასვლას აპირებს, რადგან ჩასვლა ჩასვლისთვის არაფრის მომცემია, უკრაინის საჰაერო სივრცე დაკეტილია და არათუ ის, არამედ მსოფლიოს ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს ლიდერებიც ვერ ჩადიან უკრაინაში;

• პრემიერის დავალებით, საგარეო საქმეთა მინისტრი ჩართული იყო და ევროკავშირის ეგიდით ორგანიზებულ ეუთოს მინისტერიალზე მიიღო მონაწილეობა; ასევე, ევროსაბჭოში საქართველომ უკრაინის მიმართ სრული სოლიდარობა და პოლიტიკური მხარდაჭერა გამოხატა;

• პრემიერის დავალებით, უკრაინის ელჩს საქართველოში, გზავნილი გადასცეს, რომ საქართველო მზად არის, ჩვენს ქვეყანაში მყოფ უკრაინელ მოქალაქეებს ჰუმანიტარული დახმარება აღმოუჩინოს. ეს პროცესი გაგრძელდება საქართველოს შესაძლებლობების ფარგლებში;

• მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ეროვნულ და პრაგმატულ პოლიტიკას ახორციელებს და არცერთ გადაწყვეტილებას არ მიიღებს ისეთს, რომელიც რაიმე ფორმით დააზიანებს ჩვენი ქვეყნის და ხალხის ეროვნულ ინტერესებს.

**ნინო გიორგობიანი**
მთავრობის ადმინისტრაციის
სტრატეგიული
კომუნიკაციების
დეპარტამენტის უფროსი



**P.S**

**სანამ რამეს დაწერთ, იქნებ მოვლენების ქრონოლოგიას გაადავლოთ ხოლმე თვალი. აგვისტოს ომის დროს როდის ჩამოვიდნენ ლიდერები? მაშინ, როდესაც საომარი მოქმედებები დასრულდა...**

**P.S.S**

**სხვათა შორის, ომის დროს ,,აირზენაში'' ვმუშაობდი და ზუსტად მახსოვს ის ხალხი, ვინც პირადად ჩემთან რეკავდა და საქართველოდან წასასვლელ ბილეთს მთხოვდა ნებისმიერი მიმართულებით... ბილეთს, ოღონდ მხოლოდ ერთ გზას...**

# ენმ-ის გეგმა, რომელმაც პარტიის ოფისიდან გაჟონა, მოსახლეობაში ხელისუფლებისადმი ბრაზის და აგრესიის გავრცელებას გულისხმობს

მომდევნო 7-10 დღის განმავლობაში ჩვენი მიზანი უნდა იყოს:

• მთავრობამ დაკარგოს ლეგიტიმაცია!

• მესიჯი უნდა იყოს: როცა მმართველი ძალა კოლაბორაციონისტულად იქცევა, როცა არ ეხმარება ომში მყოფ უკრაინას, არ უერთდება სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ და ა.შ. ამიტომ, უნდა დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები.

• უნდა მოვახერხოთ მოსახლეობაში ბრაზის გაზრდის ხელშეწყობა, ღირსებაზე უნდა დავაჭიროთ.

• მოსახლეობას ყოველ მომენტში (ბანერებით, კლიპებით, აქციაზე მიტანილი ეკრანით) დავანახოთ კავშირი 2008 წლის გორში მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვას და კიევის სისხლისღვრას შორის. ვიზუალიზაცია უმნიშვნელოვანესია, ეს ყველაფერი უნდა გაკეთდეს ხელისუფლების ლიდერების განცხადებების აუდიოჩანაწერების ფონზე!

— ბევრჯერ გავიმეოროთ და ყველას თავში ჩავუბეჭდოთ, რომ საქართველოს და უკრაინის ომი ერთი ომია და თუ საჭიროა, ამ ომში საქართველოც უნდა ჩაერთოს!

• საპროტესტო აქციებზე კონცერტები და ღონისძიებები გავმართოთ უკრაინის ქოლგის ქვეშ სხვადასხვა არასამთავრობოების და სახალხო მოძრაობების სახელით.

• გაბრაზებული მოსახლეობის თვალში უნდა წარმოვჩინდეთ, როგორც პატრიოტული ძალა. აქციებზე არ გავაკეთოთ ზედმეტი პოლიტიკური განცხადებები, ვისაუბროთ ბრაზზე, რომელიც ხელისუფლების განცხადებებმა გამოიწვია;

— ოპოზიცია უნდა გავიდეს პარლამენტიდან (თუ დეკანოიძის ჯგუფს დავარწმუნებთ), რომ ეს ლეგიტიმაციაც ჩამოცილდეს ქართულ ოცნებას.

• არ გავაკეთოთ განცხადება, რომ რამე უნდა შეიცვალოს ქვეყანაში, რადგან მოსახლეობის თვალში არ იქნეს აღქმული პოლიტიკურ გზავნილად. პატრიოტი, სამშობლოზე მზრუნველი მოქალაქის იმიჯით ვაკეთოთ განცხადებები, რომ ყველაფერი უნდა შეიცვალოს, რათა საქართველო არ გახდეს რუსეთის გუბერნია.

• კრეატივები ახალგაზრდებისგან: მოსკოვის ბილეთების გაგზავნა ოცნების ლიდერებისთვის, წითელი საღებავები პარტიასთან და სხვა ასეთი რაღაცები თავისთავად კარგი იქნება.

• ხალხში არსებული ბრაზი უფრო უნდა გაღვივდეს და მიიმართოს ხელისუფლებისკენ.

• ირიბად შევეცადოთ, მოსახლეობა დავაჯეროთ, რომ რუსეთი არცერთ შემთხვევაში არ მოახდენს საქართველოში შემოჭრას. ასეთი განცხადებებით მოსახლეობის თვალში ხელისუფლების დისკრედიტაცია და მათი სისუსტის წარმოჩენა უფრო გაადვილდება.

• ეს მინიმუმია, რაც შედეგისთვის საჭიროა. თუ ამ ყველაფერს განვახორციელებთ სწრაფად და ეფექტურად, უახლოეს პერიოდში შევძლებთ არსებული ვითარების ამოტრიალებას. უკრაინა ისეთ ,,ხოდზეა“ როგორც მინიმუმ ეს 7-10 დღე უნდა გაძლონ, რაც ჩვენ ამ გეგმებში ძალიან დაგვეხმარება!

# ვინ და რატომ ებრძვის ირაკლი ღარიბაშვილს?

## „როგორც პრემიერ-მინისტრი, მე არაფერს გავაკეთებ, არც ერთ გადაწყვეტილებას არ მივიღებ ისეთს, რომელიც რაიმე ფორმით დააზიანებს ქვეყნის ინტერესებს“

გამარჯობა, მე ვარ ადამიანი, რომელმაც ჯერ კიდევ 1980-იან წლებში დახედა რუსეთის ფედერაციას ზემოდან - ლაგოდეხის თავზედ აყუდებული კავკასიონის ქედიდან ქალაქ ვლადივოსტოკამდე. ТУ-154-ით ზუსტად 16 საათი ვიფრინეთ. თვითმფრინავი ერთხელ დაჯდა ქალაქ ბრატსკში საწვავის შესავსებად. სამი ოფიცერი გვმეთვალყურეობდა. შემდგომში გაირკვა, ერთი რუსი იყო, ორი - უკრაინელი, ანუ ხახოლი. ძალიან სიმკაცრესაც არ იჩენდნენ, არყის წრუპვის უფლებაც კი მოგვცეს. ოფიცრებმა არ გვითხრეს, სად მივფრინავდით, მხოლოდ ის გავარკვიეთ, რომ ავღანეთისკენ არ გვქონდა გეზი.

მე ვარ ის ადამიანი, რომელმაც 2 წელიწადი ერთ ყაზარმაში იცხოვრა რუსებთან, უკრაინელებთან, ყირიმელ თათრებთან, ყაზახებთან, უზბეკებთან, ყირგიზებთან, სომხებთან, აზერბაიჯანელებთან და სხვა საბჭოთა ხალხებთან. არ ვხუმრობ, ჩვენ ხომ ადრე, სულ რაღაც 30-იოდე წლის წინათ საბჭოთა „ხალხები“ გვერქვა?

1984 წელს უკრაინის ერთ-ერთი ატომური ელექტროსადგურის ეზოში მოზაიკა გავაკეთეთ, შადრევნები მოვაპირკეთეთ. მაშინ თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში ვიღებდი განათლებას ფერწერის სპეციალობით. გაზაფხულზე ჩაგვიყვანეს ოდესაში, ხუთი თუ ექვსი თვე ვიმუშავეთ. სწორედ მაშინ გავიცანი უკრაინელები კიდევ ერთხელ ძალიან კარგად.

მიუხედავად ამისა!

სოციალურ ქსელებსა თუ მედიის სხვა საშუალებებით მე ხმას ვერ ვიღებ და იცით, რატომ? დღეს საქართველოში ისეთი „გრანდები“ ჰქუხან ინგა გრიგოლიას თამადობით და ეკა მიშველაძის, ნინო გოგუაძის, გიგა ბოკერიას, ხათუნა ლაგაზიძის, ნინო ბურჯანაძისა და სხვათა მონაწილეობით, მრცხვენია, მერიდება, ვწითლდები. აბა, სადაც ინგა გრიგოლია სჭექს აღშფოთებული ტონალობით, მე რანაირად უნდა ვილაპარაკო? სადაც ეკა მიშველაძე აკეთებს სხარტ სხარტულებს ოკუპანტ რუსეთზე, მე რაღაზე უნდა ვილაპარაკო?

ერთი ვინმე გიორგი ნიორაძე ჰყავთ „ჭუტავიზიაში“ („ტვ პირველი“), თან ყინულზე წაქცეული ჯორივით იკრიჭება, თან უცნაურ რაღაცებს ყვება - ისაო, რუსებმა უკრაინაში კრემატორიუმები შეიტანეს, ჯარისკაცები რომ დაეღუპებათ, უნდა დაწვან, რათა კვალი წაშალონო. ამაზე იცინის. არა, შეიძლება რუსეთიც გძულდეს, პუტინსაც ვერ იტანდე, მაგრამ გვამებისა და კრემატორიუმების ხსენებაზე რანაირად უნდა იცინო? ან კიდევ ამნაირი დუპლეტური რაღაცა რატომ უნდა მოიგონო?!

რუსები 24-ში გამთენიისას შევიდნენ უკრაინაში, იყო წერტილოვანი დარტყმები. იმავე დღეს ინგა გრიგოლია და ეკა მიშველაძე ისე აღშფოთდნენ, აფრებიც ისე აუშვეს, კიდევ კარგი, ვლადიმერ პუტინმა ვერ ნახა, არ ეცალა.

აი, აბა, ახლაც იტყვით, რომ ომი საქართველომ დაიწყოვო?! - დასვა მრისხანე ტონალობით შეკითხვა გრიგოლიამ და განაგრძო, - სულ მცირე, ასეთებს არ გრცხვენიათო?!

როგორც ჩანს, ამ დედაკაცს საერთოდ აღარ რცხვენია, ისე „აპრავებს“ მიხეილ სააკაშვილს, გეგონება ევროსაბჭოს 1633-ე რეზოლუციას მე მოვაწერე ხელი...

ადრეც დავწერე და ვიმეორებ: 2008 წელს სხვა გაზეთში ვმუშაობდი. აპრილიდან დაიწყო კულუარებში ტუკ-ტუკი, აგვისტოში თუ არა, სექტემბერში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს ვიბრუნებდით, ყველაფერი შეთანხმებულია, გარიგება დადებულია, ჩვენ შევალთ, რუსეთი თვალებს დახუჭავსო. სააკაშვილის მონებმა ნელ-ნელა ტრაბახიც დაიწყეს, შოთა მალაშხია ღიად ამბობდა, ჩვენ ისეთი არმია გვყავს, ისეთი შეიარაღება გაგვაჩნია, კრემლის თავზე ქართულ დროშას ავაფრიალებთო. ააფრიალეს, ცხინვალში ჩატანილი დროშები და ბუშტები იქვე დაყარეს და გამოიქცნენ.

დავუბრუნდეთ დღევანდელ გარემოებას... მთავრობის მეთაურის შეფასებით, სუვერენულ სახელმწიფოზე თავდასხმა და სამხედრო მოქმედებები აბსოლუტურად მიუღებელია და საერთაშორისო სამართლის პრინციპებს ეწინააღმდეგება.

„მინდა, ძალიან მკაფიოდ განვაცხადო და ჩვენს მოქალაქეებს მივმართო - ჩვენ დღეს არავითარი საშიშროება არ გვაქვს. საჭიროა სიმშვიდე შევინარჩუნოთ. არავითარი საფრთხე საქართველოს არ ემუქრება. ჩვენ ეროვნული პოლიტიკით, პრაგმატული, ჩვენს ეროვნულ ინტერესებზე გათვლილი პოლიტიკით მოვახერხეთ ის, რომ ამ 9 წლის განმავლობაში ქვეყანამ მიაღწია მშვიდობას და სტაბილურობას. ამასთანავე, პარალელურად, ჩვენ მივაღწიეთ ყოველგვარი დანაკარგების, ყოველგვარი დესტაბილიზაციის გარეშე ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერას, უვიზო რეჟიმს და თავისუფალ ვაჭრობას. ჩვენი ხალხის წინაშე მინდა განვაცხადო შემდეგი - როგორც პრემიერ-მინისტრი, მე არაფერს გავაკეთებ, არც ერთ გადაწყვეტილებას არ მივიღებ ისეთს, რომელიც რაიმე ფორმით დააზიანებს ქვეყნის ინტერესებს. საქართველო, ჩვენი ეროვნული ინტერესებისა და ხალხის ინტერესების გათვალისწინებით, არ აპირებს, მონაწილეობა მიიღოს ფინანსურ და ეკონომიკურ სანქციებში, ვინაიდან აღნიშნული მხოლოდ დააზიანებს გაცილებით უფრო მეტად ჩვენს ქვეყანას და ჩვენს მოსახლეობას. კითხვაზე, ვაპირებ თუ არა კიევში ჩასვლას, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ დაკეტილია საჰაერო სივრცე. არათუ მე, არამედ მსოფლიოს ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს ლიდერებიც ვერ ჩადიან უკრაინაში. უპასუხისმგებლობა და მავნებლობაა ის პოლიტიკა, ის უსარგებლო ხმაური, რასაც ჩვენი ოპონენტები აკეთებენ, არაფრისმომცემია. პირიქით, ეს ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს. მათი ამოცანაა პროვოკაციების მოწყობა და იმ უბედურების გამეორება, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომში მათ ვერ აირიდეს“.



პოლიტოლოგმა ირაკლი გოგავამ ამას უწოდა სახელმწიფო კაცის განცხადება. ვეთანხმები, ირაკლი ღარიბაშვილი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ქვეყანას საფრთხე აარიდოს. მე-5 კოლონა შფოთავს, განიცდის, დავალებებს ვერ ასრულებს, ხელისუფლება პროვოკაციებზე აღარ ეგება, პრემიერ-მინისტრი ქართულად აზროვნებს. გამოდიან რუსთაველზე, გაუგებარ აქციებს მართავენ, ვითომ უკრაინას უჭერენ მხარს და ბოლოს „დააგუგუნებენ“ ხოლმე: წა-დი! წა-დი! წა-დი!

ვინ უნდა წავიდეს? ირაკლი ღარიბაშვილი, რადგან რუსეთს ეკონომიკური სანქციები არ დაუწესა. თაკო ჩარკვიანი გაგიჟდა, გადაირია. ეგ ადრეც გიჟი იყო, მაგრამ ახლა ნამეტნავად მოუჭირა კიკინებმა. ბოლო დროს ამ ადამიანში ჩაბუდებულმა ზიზღმა შემაშფოთა. ირაკლი ღარიბაშვილს ლანძღავს, დასცინის, ირონიულად მიმართავს, მშიშარას უწოდებს, ემუქრება, დადგება დრო და გაგასამართლებთ, ციხეში ჩაგაგდებთო... რუსეთს უნდა ეომო, მა როგორ გინდაო? სანქციებს რატომ არ უწესებ, შე პუტინის მონავო?!

რატომ გადაეკიდა „პოლიტიკოსი“ თაკო (რომელიც ჯუნიორ ვაშაძეს დაუწყვილეს, რათა პარლამენტში მოხვედრილიყო) ძალზედ მწარედ ირაკლი ღარიბაშვილს?

იმიტომ, რომ დარწმუნებულია, კულტურის მინისტრის თანამდებობაზე მის დანიშვნას სწორედ ირაკლიმ შეუშალა ხელი.

საიდან იცის? ვერ გეტყვით, როგორც ჩანს, ვიღაცამ ამბავი მიუტანა და ამანაც დაიჯერა.

მოკლედ, ერთი დღეა, მირეკავს თაკო (პირად საუბარს არ გავასაჯაროებდი, ხშირად რომ არ გადადიოდეს დაუკრეფავში!) და პირდაპირ მეკითხება: შენ როგორ ფიქრობ, მე ისინი მებრძვიანო? ვინ ისინი-მეთქი? აი, თამაზაშვილი და... ღარიბაშვილიო. კი, მაგრამ მაგათ რაში სჭირდებათ შენთან ბრძოლა, მეტი საქმე არ აქვთ-მეთქი? ნამდვილად იციო? დარწმუნებული ვარ-მეთქი. რა ვიცი, მე მაინც მგონია, ეგენი მებრძვიანო.

მაშინ ეს საუბარი იმდენად უმნიშვნელოდ ჩავთვალე, ყურადღება აღარ მიმიქცევია, მაგრამ ვუყურებ ახლა თაკოს და მეშინია, შეიძლება უახლოეს ხანში ცოცხზე შემოჯდეს და გაფრინდეს!

მეგონა, თაკოს კარგად ვიცნობდი. ის ყოველთვის იყო ემოციური და რაღაცნაირი, მაგრამ ასეთი ზიზღიანი? არ ვიცი, მე არ მინახავს.

არადა, ირაკლი ღარიბაშვილმა მას ძმა გადაურჩინა. კი, ბატონო, არაფერია წამოსაძახებელი, მაგრამ პირადი ინტერესის გამო ბოღმა რომ გხეთქავს და სამშობლოს აბრალებ, ეს ხომ აშკარად ჩანს?!

ეეეჰ, თაკო, შენ ირაკლი ღარიბაშვილს რა უნდა დააკლო, ან ციხეში რანაირად უნდა ჩასვა? სასაცილოა პირდაპირ. ნათქვამია, მჟავე ღვინო თავისსავე ტიკსა (თუ ქვევრსა) ჰხეთქამსო და ცხადია, შენც ეგრე გაგხეთქამს, თუ არ დაშოშმინდები!

ესე იგი, ღარიბაშვილები და თამაზაშვილები მებრძვიანო.

ვააჰ, ზოგს რა დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე?!

მეორე ორგანიზმი, რომელმაც წარბები შეჰყარა, კოპები შეკრა, მრისხანე გამომეტყველება მიიღო და ირაკლი ღარიბაშვილს შეუტია, ეს გახლავთ გულბოზ სანიკიძე. ამანაც იგივე გზა აირჩია - ცინიკური, შენ ვინ ხარ, ბიჭო, რუსებს რომ სანქციებს არ უწესებ და საერთაშორისო თანამეგობრობას არ უერთდებიო? როგორ ბედავ, სეერთაშორისო მასშტაბით რომ გვარცხვენო? ირაკლი ღარიბაშვილს სამარცხვინო არაფერი ჩაუდენია, პირიქით, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს

4 გვ.



# ვინ და რატომ ებრძვის ირაკლი ღარიბაშვილს?

3 გვ.

და ეს ასეც უნდა იყოს. ისე, რაღა დაგიმალოთ და... მე კი ძალიან მრცხვენია, იყო დრო, ამ არსებას სერიოზულ ადამიანად ვთვლიდი.

ფუჰ!!!

უსინდისოთა მცირე ლაშქარმა რუსთაველზე კონცერტების გამართვა დაიწყო. უკრაინაში ხალხი იხოცება, ესენი როკავენ, უკრაინელებს სოლიდარობას უცხადებენ. ირგვლივ გვამები რომ ცვივა, უხარიათ, სიამოვნებთ. ამათი ე.წ. კრიტიკული ტელევიზიების ეკრანები ორად გაყვეს, ერთ მხარეს ომს უჩვენებდნენ, მეორე მხარეს კონცერტს. კონცერტი რა, ქათამაძე აყროყინეს, ლალაბულალა, ბულულალურიო, საკუთარ გვარს რომ ხელი ჰკრა და რაჭველი დაირქვა, ის კიდევ ყველის ვაჭარივით იკრიჭებოდა და ჯოხსაც იქნევდა. რა გითხრათ, ამაზეც ძალიან მრცხვენია, მაგრამ ამდენი ავადმყოფის შეჩერება არ შემიძლია. თან როკავენ, თან ირაკლი ღარიბაშვილს უტევენ, წადი, გადადექიო. სად გვყავს ამ სიფილისიანების გადასაყენებელი პრემიერი?!

მოდით, ახლა იმაზეც ვთქვათ, რა უნდა გააკეთოს პრემიერ-მინისტრმა? რაც ამ ეტაპზე გასაკეთებელი იყო, გააკეთა, ერთი უბ-



რალო შეცდომაც კი არ დაუშვია - მისი განკარგულებით, მთავრობამ უკრაინის დასახმარებლად 1 მილიონი ლარი გამოყო. დავით უსუფაშვილმა და მისნაირებმა განაცხადეს, ეგ ძალიან ცოტააო. ვურჩევ, ეს თანხა რომ ცოტაა, ყურში თავიანთ „უმფროს“ ხაზარაძეს უჩურჩულონ, იქნებ ერთი-ორი მილიონი პირდაპირ ზელენსკის გადაურიცხოს?!

შემდეგი... საქართველომ მხარი დაუჭირა ევროკავშირის საბჭოდან რუსეთისთვის წარმომადგენლობის შეჩერებას. ცნობისათვის, ვინც დღეს ნაკერავზე იხევა, რუსეთს სანქციები რატომ არ დაუწესეთო, 2008 წლის მერე სწორედ მაგათ მისცეს თანხმობა, რომ რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებულიყო. აქ უკვე ჩვენი ხმა იყო გადამწყვეტი, რომ არა სააკაშვილის მოღალატე ხელისუფლება, რუსეთი ვერ გაწევრიანდებოდა ამ სტრუქტურაში. წარმოგიდგენიათ? ესენი სხვას ეძახიან პუტინის მონას!

დიახ, ეს ის ხალხია, აგვისტოს ომის დროს წითელ ხიდს რომ მიასკდა. დროა, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ჩვენი დროის „გმირები“:

კანდიდ კვიციანი, პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი - საქართველო დატოვა 7 აგვისტოს, დაბრუნდა 11 აგვისტოს;

კობა ნაყოფია, პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი - საქართველო დატოვა 7 აგვისტოს და აგვისტოში არ დაბრუნებულა;

გოჩა მამაცაშვილი, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე - საქართველო დატოვა 8 აგვისტოს, 05:00 საათზე, დაბრუნდა 12 აგვისტოს;

ალექსანდრე ხეთაგური, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი - საქართველო დატოვა 8 აგვისტოს;

დიმიტრი გვინდაძე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე (2011 წ. ფინანსთა მინისტრი) - საქართველო დატოვა



8 აგვისტოს, დაბრუნდა 10 აგვისტოს;

ლევან მჭედლიშვილი, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე (დედოფლისწყაროს საკრებულოს წევრი) - საქართველო დატოვა 8 აგვისტოს, დაბრუნდა 10 აგვისტოს;

რომან მარსაგიშვილი, პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი - საქართველო დატოვა 8 აგვისტოს;

გიგა ბოკერია, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე - საქართველო დატოვა 9 აგვისტოს;

ურუზმაგ ქარქუსოვი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის წევრი - საქართველო დატოვა 9 აგვისტოს;

ბაკურ კვეზერელი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი - საქართველო დატოვა 9 აგვისტოს;

გიორგი მელაძე, პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი - საქართველო დატოვა 9 აგვისტოს, 16:00 საათზე;

ნინო კალანდაძე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე - საქართველო დატოვა 10 აგვისტოს, 12:30 საათზე, აზერბაიჯანში გადავიდა წითელი ხიდით;



კობა სუბელიანი, პარლამენტის წევრი, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი - საქართველო დატოვა 10 აგვისტოს;

გიორგი ღვინიაშვილი, პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი, აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - 11 აგვისტოს ვალედან გადავიდა თურქეთში;

გოგი ლიპარტელიანი, პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი - საქართველო დატოვა 11 აგვისტოს, დაბრუნდა 12 აგვისტოს, 15 აგვისტოს სადახლოდან გადავიდა სომხეთში;

ნინო ენუქიძე, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე - საქართველო დატოვა 11 აგვისტოს, დაბრუნდა 14 აგვისტოს;

მერაბ სამადაშვილი, პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი - საქართველო დატოვა 12 აგვისტოს, 00.02 საათზე, ავტომანქანით სომხეთში გადავიდა. დაბრუნდა 12 აგვისტოს შუადღისას;

პაატა ლეჟავა, პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი - საქართველო დატოვა 12 აგვისტოს;

თამარ კოვზირიძე, საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე - საქართველოში დაბრუნდა 14 აგვისტოს;

ჰარუთიუნ ოვანესიანი, პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტა-



ტი - 11 აგვისტოს სარფის საზღვარი გადმოკვეთა თურქეთიდან;

გოდერძი ბუკია, პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი - 11 აგვისტოს გადმოვიდა წითელი ხიდით საქართველოში.

2008 წლის ომის შემდგომ ეს სია საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა აგვისტოს მოვლენების შემსწავლელ დროებით კომისიას გადაუგზავნა, რომელსაც პაატა დავითაია ხელმძღვანელობდა და რომელიც „კავკასიის“ ეთერში ამტკიცებდა, ომი საქართველომ დაიწყოო. მას კამერა გამორთული ეგონა და გულახდილი იაღლიში მოუვიდა, დასკვნაში სხვა რამე დაწერა, ჟურნალისტს კიდევ სხვა რამე უთხრა. ასეთი გულწრფელები არიან ესენი.

აი, ამათ აიშვეს, ამათნაირებმაც, გრიგოლიებმა და მელაძეებმა დაიკაპიწეს ხელები კაი მხედართმთავრებივით, ამ დროს „თხა და გიგო“ უკუღმა აქვთ წაკითხული, შინაარსი დღემდე ვერ გამოაქვთ. აღარაფერს ვამბობ რუსეთ-უკრაინის ისტორიაზე, გუშინდელ დღეზე. იკრიბებიან რუსთაველის გამზირზე და უკრაინელებს მოუწოდებენ ომისკენ, ჩვენს ხელისუფლებას ამუნათებენ, რატომ არ ებმები რუსეთის წინააღმდეგ ომშიო? უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ მსოფლიო მოხალისეებს მოუწოდა, ჩამოდით, იომეთო. ესენი არ მიდიან, ამათ ურჩევნიათ, „ჩერეზ“ წითელი ხიდი სადმე გა-



დაიკარგონ, ვიდრე ომში წავიდნენ. ბლუ გრიგოლ გეგელია, მამუკა ხაზარაძის „პადელნიკი“ იძახის, ირაკლი ღარიბაშვილმა შეგვარცხვინა, მაგას პოლიტიკისა არაფერი გაეგებაო. „ჭუტლექსვიზიაში“ ტრაბახობს, უკრაინიდან ჩემი მეგობრები მწერენ, ტელეფონი სავსეა მესიჯებით, გთხოვთ, ჯო ბაიდენს ხმა მიაწვდინეთ, დაგვეხმაროსო. გაიგონეთ? უკრაინიდან უდღეურ გრიგოლს ეხვეწებიან, ბაიდენთან გვიშუამდგომლეო. ეს ყაბულსაა, მარტო ჯოსთან კი არა, ყველა ლიდერთან ვუშუამდგომლებ, ამას ღარიბაშვილი უნდა აკეთებდეს, მაგრამ საგარეო პოლიტიკის გაგნებაში არ არიო. „საგარეო პოლიტიკას“ რაღაცნაირად ამბობს გრიგოლი - „სგრე პლიტიკა“-ო, წინადადებებს ამოკლებს, საქმეს იიოლებს, საეთერო დროს ყაირათიანად იყენებს.

ერთი ქალი როა, ყვავივით რო ჩხავის - ნინო გოგუაძე, „ოცნების“ წყალობით 2012-2016 წლებში პარლამენტშიც იყო, ეგ ახალ ტერმინოლოგიას ამკვიდრებს, დღეს მსოფლიო მშვიდობიანი და არამშვიდობიანი ომის ზღვარზეაო. მაგარი განმარტებაა, ამათ ძალიან მაგრად ესმით ორივე პოლიტიკა, საშინაოც და საგარეოც, ირაკლი ღარიბაშვილს არაფერი გაეგება - აბა, საიდან?!

მიხეილ სააკაშვილმა, სანამ უკრაინაში რუსები შევიდოდნენ და ქვას ქვაზე დაადუღებდნენ, ოღონდ გამიშვით და საქართველოსკენ საერთოდ აღარ გამოვიხედავო. როცა დამიძახებთ, ჩამოვალ, აქ რომ არ ვიყო, ომი არ იქნებოდაო. ბოდავს, სპექტაკლს დგამს, საკუთარ თავსა და მშობელ გიულის არწმუნებს, პუტინმა სპეციალურად დამაპატიმრა, რათა ომი დაეწყოო. გია ბარამიძე აჟუილებდა ტელევიზორში, ახლა მიშა გარეთ რომ იყოს, ყოველდღე ჩართვები ექნებოდა „ბიბისიზე“ და „სიენენზეო“. ვნახეთ მაგისი ჩართვები 2008-ში, თუ არ ვცდები, ჰალსტუხი (ყლინჯი) „ბიბისის“ ეთერში ღეჭა!

ამჯერად აქ შევჩერდები, სანამ გაზეთი დღის სინათლეს იხილავს, შეიძლება რაღაც ნიუანსები შეიცვალოს, შეიძლება რუსეთმა უკრაინა დაიპყროს, შეიძლება უკრაინელებმა აჯობონ, მაგრამ ირაკლი ღარიბაშვილის პოზიციები არ შეიცვლება, ის იყო, არის და იქნება ამ ქვეყნის ყველაზე საიმედო გულშემატკივარი. სხვათა შორის, გარეჯი საქართველო რომ არ ჰგონია, ის ხალხი ამტკიცებს, ყირიმი უკრაინაა, გადადგეს ღარიბაშვილიო. ღმერთო, ყოველთვის ასე დაიფარე საქართველო. მადლობა.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61



# პუტინის კი არა, ამ პატარ-პატარა ქართველი პუტინიკების მეშინია, რომლებიც მზად არიან თავიანთ სამშობლოს ყელი გამოღადრონ

## „ნაციონალები“ საქართველოში ომის დაწყებას მოუთმენლად ელოდებიან



*გვესაუბრება ისტორიის დოქტორი, პროფესორი ედიშერ გვენეტაძე:*

**— ბატონო ედიშერ, რუსეთ-უკრაინას შორის ომი, უკვე, ერთი კვირაა გრძელდება. რა მოლოდინები გაქვთ?**

— ჩემი აზრით, რუსეთ-უკრაინის ომი 90-იანი წლების დასაწყისში უმნიშვნელოვანესი მოვლენის — საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგია, რასთან ერთადაც, ფაქტობრივად, იალტა-პოტსდამის სისტემა დაიშალა. სამწუხაროდ, ყოველივეს შემდეგ ვერ ჩამოყალიბდა საერთაშორისო წესრიგის სისტემა, რის მიხედვითაც წითელი ხაზები გაივლებოდა და მის გადალახვას ვერცერთი სახელმწიფო ვერ შეძლებდა. ჩვენ, ისტორიული პროცესიდან უნდა გამოვიდეთ. კერძოდ, უნდა ითქვას: მაშინ საბჭოთა კავშირის




თლე. რატომ დავიწყე თხრობა ამ ამბიდან? — როდესაც გორბაჩოვმა აღმოსავლეთ-ევროპის ქვეყნებიდან ჯარები გამოიყვანა და ვარშავის ხელშეკრულება გაუქმდა, შედგა სიტყვიერი შეთანხმება, რომ ნატო, გერმანიის ფარგლებს იქეთ, ერთი დიუმითაც არ წაიწევდა. გორბაჩოვი სიტყვიერ შეთანხმებას დასჯერდა. სინამდვილეში, პოლიტიკაში მეგობრობა კი არა, არამედ არსებობს ინტერესები. ბუნებრივია, სიტყვიერი შეთანხმება დაირღვა და ნატომ გაფართოვება დაიწყო. ეს ჩვეულებრივი პროცესი გახლდათ, ვინაიდან საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა წაგებული იყო. შემდგომ იყო ლოთი ელცინის რუსეთი, რომელსაც ერთ ხელში ჭიქა ეჭირა და მეორეში — არაყი. მას რაიმე სამართლებრივ ფორმებსა და მეთოდებზე საფიქრელად არ ეცალა. აქედან გამომდინარე, ბოლო-ბოლო ნატო გაფართოვდა, რასაც ვერავითარი იურიდიული აქტი ვერ ამყარებდა, ვინაიდან მსგავსი რამ ბუნებაში არ არსებობს. უბრალოდ, გორბაჩოვმა, შევარდნაძემ და იაკოვლევმა ხელშეკრულების დადება მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს. ამიტომ, დასავლეთმა გააკეთა ის, რაც გააკეთა და აღმოსავლეთ-ევროპის ქვეყნები, თითქმის, ერთიანად ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანდა. მას შემდეგ რაც ხელისუფლებაში პუტინი მოვიდა, მან ტალახში ჩაფლულ რუსეთს თავი ზემოთ წამოაწევინა. აღსანიშნავია, რომ იგი 2008 წლის აგვისტოსთვის დიდი ხნის მანძილზე ემზადებოდა. შეიძლება ასეც ითქვას: უკრაინაზე იერიშის მიტანამდე, მან მოთელვა 2008 წელს საქართველოში განახორციელა, რა დროსაც საქართველოს ისტორიული ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა. თუმცა, ამის მიზეზი შუაგულ ევროპაში განვითარებული მოვლენებია. კერძოდ, ყველას ძალიან კარგად გვახსოვს პროცესები, რაც ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მოხდა. დასავლეთის მიერ კოსოვოს აღიარება, თით-

რიული მთლიანობის დარღვევა. დიახ, სწორედ ვიღაც-ვიღაცების მხარდაჭერით მივიდა უკრაინა ნარინჯისფერ რევოლუციამდე, რაც თითქოს, დემოკრატიული პროცესების განვითარების საწყისი უნდა ყოფილიყო. შემდეგ რაც მოხდა, ვნახეთ — უკრაინა მაიდნამდე მივიდა, რასაც სისხლისღვრა და ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა მოჰყვა. 90-იანი წლების დასაწყისში, საქართველოშიც ძალადობრივი გზით მოხდა ხელისუფლების შეცვლა. იგივე განმეორდა ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგაც. ეს გადატრიალება გახლდათ — არჩეულ ხელისუფლებას საშუალება არ მიეცა ემუშავა. მეტიც, სად გაგიგონიათ პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნები უსამართლოდ მონათლონ, ხოლო მაჟორიტარული — სამართლიანად. სხვა, რომელ ქვეყანაში არსებობს ამის პრეცედენტი?! მაგრამ პროცესის ასე განვითარება მავანს აწყობდა.

**— დღეს, როგორ შეაფასებთ, ხელისუფლების მიმართ ოპოზიციის მიერ განხორციელებულ ქმედებებს?**

— დღეს, საქართველოში რაც ხდება და რასაც „ნაცმოძრაობა“ აკეთებს, ყოვლად წარმოუდგენელია. ჩემი ღრმა რწმენით, ნაცები, ჩვენს ქვეყანაში, რუსეთის მეხუთე კოლონას წარმოადგენენ. ამის მიზეზი შემდეგია: საქართველოში ციკლი არ დასრულდა ისე, რომ გადატრიალება არ მომხდარიყო. მხოლოდდამხოლოდ 2012 წლის 1 ოქტომბერს აირჩია ხალხმა ხელისუფლება, რაც ნაცებს და მათ მიმდევრებს დღემდე ვერ მოუნელებიათ. ერთ, ძალიან საინტერესო მომენტს მივაქციოთ ყურადღება: „ნაციონალები“ საქართველოში ომის დაწყებას მოუთმენლად ელოდებიან.

**— ოპოზიცია ითხოვს: ხელისუფლება რუსეთისადმი სანქციების დაწესებას შეუერთდეს. რას ფიქრობთ, ამ ყველაფერზე?**

— რამდენიმე დღის წინ პარლამენტის სხდომის ჩატარებას და იქ, პრემიერ-მინისტრის მიწვევას ითხოვდნენ. რისთვის? — ცინიკოსი ხატია დეკანოიძის და სხვების ტლიკინი რომ გვესმინა. და რა თემაზე სურდათ „სჯა-ბაასი“? — ელანძღათ, ეგინებინათ პუტინი და ამის შემდეგ, ვის აქვს იმის გარანტია, რომ მათი პროვოკაციებით გამწარებული რუსეთის პრეზიდენტი თბილისში არ შემოვარდება?! დიახ, პუტინის აქ, შემოვარდნა სწორედ ნაცებს აწყობთ, ეს მათ ინტერესებშია. ამიტომ, ქართველმა მოსახლეობამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა უთხრას მათ უარი. მუდმივად, შიშში ყოფნა არ შეიძლება. გასაგებია, ვინც არის გარე-მტერი, მაგრამ ქვეყნის შიგნით გვყავს ისეთი მტრები, რომლებიც კაცმა არ იცის რომელი ქვეყნების სპეც. სამსახურების დავალებებს ასრულებენ. ნაცები ყველაფრის მკადრებელი ხალხია. მე, იმდენად პუტინის არ მეშინია, რამდენადაც ამ შინა-პუტინისტების, რომელთაგანაც ყოველ წამს უბედურებაა მოსალოდნელი. ვიმეორებ, სხდომის გამართვა საპროვოკაციოდ უნდოდათ. მაპატიეთ, მაგრამ აი, რას მოვისმენდით მათგან — პუტინ ხუილო და ა.შ. ეს გადაიცემოდა ტელევიზიებით, შედეგად, ნაცები თავიანთი დამკვეთების წინაშე ქულებს დაიწერდნენ, ხოლო ჩვენი ქვეყანა ვეშაპის ხახაში აღმოჩნდებოდა.

**— რა პოლიტიკა უნდა აწარმოოს საქართველოს ხელისუფლებამ?**

— ის პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ, რაც ჩვენს წინაპრებს, ოდითგანვე, ჰქონდათ — ეს გახლავთ თავის გადარჩენის პოლიტიკა. ხშირად ისმის: ვიბრძოლოთო. კი ბატონო, ბრძოლა კარგია, მაგრამ ურა-პატრიოტიზმი არაფერში წერია. გადავხედოთ, ისტორიას და ელემენტარული ჭეშმარიტება დავინახოთ. კერძოდ, ჩვენ, ძალიან მცირერიცხოვანი ერი ვართ. საქართველოში მოსახლეობის რა რაოდენობაცაა, იგივე, მოსკოვის ერთ უბანში ცხოვრობს. ამიტომ, ჩვენი თავის გადარჩენაა მთავარი. ისტორიულად უნდა გადავრჩეთ. ერთმანეთს უზარმაზარი ვეშაპები ებრძვიან, დედამიწის გადანაწილების პროცესი მიმდინარეობს. ამ პროცესში, ჩვენ, დიახ, თავი უნდა გადავირჩინოთ, წინაალმდეგ შემთხვევაში გავითელებით. ვიღაცებს ჰგონიათ, რომ მსოფლიო ჩვენს დასაცავად ხმას ამოიღებს. რუსი შევიდა კიევში, ამოიღო დასავლეთმა ხმა? პირზე მხოლოდ სანქციები აკერიათ. ქართულ ანდაზას შეგახსენებთ: სანამ პეტრე მოვიდოდა, მანამ პავლეს ტყავი გააძვრესო. ამიტომ, ნუ გავიხდით თავს ტყავის გასაძრობად. ჩვენ, ქართველები ვართ და გენეტიკით დიპლომატები ვართ. სწორედ, დიპლომატიის მეშვეობით გადავრჩით და აქამდე, მოვედით. თორემ, ჩვენს ირგვლივ უზარმაზარი იმპერიები არსებობდა, რომლებიც ისტორიის სარბიელიდან, ყველა გამქრალია, ჩვენ კი გადავრჩით. ამიტომ, **არავითარ შემთხვევაში, ემოციებს და შინაურ მტრებს არ უნდა ავყვეთ. მივესალმები იმ პოლიტიკას, რასაც დღევანდელი ხელისუფლება ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით ატარებს.** დიახ, პოლიტიკას კეთება სჭირდება და არა იქ, შეშლილების და გიჟების ყოფნა. შეშლილების, გიჟებისა და სახელმწიფო დამნაშავეების ადგილი არის ფსიქიატრიულში და ციხეებში, სადაც ისინი კიდევაც აღმოჩნდებიან. კი ბატონო, ყველას გვაქვს პროტესტის გრძნობა რუსეთის ქმედების მიმართ, მაგრამ მინდა ისტორიიდან ერთი რამ შეგახსენოთ: გიორგი ბრწყინვალემ მონღოლთა უღელი კისრიდან ისე გადაიგდო, რომ ერთი ბრძოლაც არ გაუმართავს. მან, ეს ყველაფერი დიპლომატიით მოაგვარა და მადლიერმა შთამომავლობამ ბრწყინვალე უწოდა-კიდეც. ამიტომ, საჭიროა: ჭკუა, ჭკუა და კიდევ, ჭკუა. დიდმა ქართველმა მწერალმა ჭაბუა ამირეჯიბმა 1989 წლის 11 აპრილს, 9 აპრილიდან ორ დღეში, გვითხრა: ჭკუით ქართველებო, ჩვენი პატრონი დედამიწაზე ჩვენს მეტი არავინ არისო.

**— ბრძოლა ორ მოძმე ერს შორის მიმდინარეობს. ეს, რუსეთის მხრიდან, დაპყრობის მცდელობაა თუ ტერიტორიების დაბრუნების?**

— ვფიქრობ, დღეს, თამაშის







7 გვ. →

# საქართველო რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს რომ შეუერთდეს, ერთ კვირაში ქვეყანა თავზე დაგვემხობა

*გვესაუბრება „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი ნანა დევდარიანი:*

**— ქალბატონო ნანა, როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა უკრაინაში ომის დაწყება, რა სცენარით შეიძლება განვითარდეს მოვლენები?**

— დაახლოებით, 30 წლის წინ, ბჟეზინსკი წიგნში „დიდი საჭადრაკო დაფა“ წერდა: თუ რუსეთს უკრაინას არ ჩამოვაცილებთ, იგი, ევრაზიულ იმპერიად დარჩება, ხოლო თუ ჩამოვაცილებთ, მაშინ აზიური იმპერია იქნებაო. როგორც ჩანს, დანარჩენი ნაწილი ევროპა აღარ არის, მაგრამ ეს ამ ადამიანს ნათქვამი აქვს. მსგავსი რაღაცები შემთხვევით არც ით-



ქმება. ჩვენ, პროცესებს ვაკვირდებით როგორც საქართველოში, ისე უკრაინაში. აშკარაა, რუსეთის საწინააღმდეგო პოლიტიკა, ყველანაირად მხარდაჭერილი იყო. შევარდნაძე, მეტ-ნაკლებად, დაბალანსებას ახერხებდა. სააკაშვილის პერიოდიდან კი რუსეთთან დაპირისპირება ძალიან გამძაფრდა როგორც აქ, ისე უკრაინაშიც. მოვლენები ერთიდაიგივე სცენარით ვითარდება. დიახ, საქართველოშიც და უკრაინაშიც კონსტიტუციაში, აბსოლუტურად, იდენტური ჩანაწერი გაკეთდა: თითქოს, ნატოსკენ სწრაფვა ჩვენი მთავარი მიზანია. ორივე ქვეყნის კონსტიტუციაში ერთნაირი ფორმულირებაა. ცნობილია, რომ ჭკვიანი ადამიანები სხვის შეცდომებზე სწავლობენ. ჩვენ, სხვა როგორ დავამუნათოთ, როცა თავად საკუთარ შეცდომებზე ვერ გვისწავლია. უკრაინამ იცის, 2008 წელს როგორ განვითარდა მოვლენები საქართველოში. სააკაშვილი, ახლა, გაიძახის: ხომ ხედავთ, მე, ხელი საერთოდ რომ არ გამენძრია, რუსეთი მაინც შემოვიდოდაო. მაგრამ იმასაც ხომ გააჩნია, როგორ შემოვა და შენ, რამდენად შეუქმნი წინაპირობას და საშუალებას, რომ დაგიპყროს. შეგახსენებთ, 2008 წლის ომამდე რამდენიმე თვით ადრე, ორი დოკუმენტი შექმნა: ერთის მიხედვით, სააკაშვილმა კოდორს სახელი გადაარქვა და ზემო-აფხაზეთი უწოდა, (ამის აუცილებლობა არ იყო) რითაც იგი, აფხაზეთის ტერიტორიას „მიაკუთვნა“. და, მეორე, როგორ მოიქცა ახალგორთან მიმართებაში? — სამხრეთ-ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია შექმნა და ისიც, სამხრეთ-ოსეთს მიაკუთვნა. ანუ, ფაქტობრივად, ძველი ადმინისტრაციული საზღვარი დაუკანონა. ახლა რომ ყვირიან ნაცები, რუსები მცოცავ ოკუპაციას ახორციელებენო, თავიანთი დაკარგული 20% აღარ ახსოვთ?! თანაც, როგორ ახორციელებენ მცოცავ ოკუპაციას? — იმ ადმინისტრაციულ საზღვარს მიჰყვებიან, რომელიც ფაქტობრივად, სააკაშვილმა ამ ორი დოკუმენტით მოუხაზა. ახლა, გადავიდეთ დღევანდელი ომის ეპიცენტრში. პუტინმა იეშმაკა და თქვა: უკრაინა ამ ფორმით რომ არსებობს, ლენინის დამსახურებააო. რეალურად, ეს სტალინის დამსახურებაა, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის შედეგებით, უკრაინას შემატა ლვოვი და აღნიშნული ოლქები. ასევე, შემატა უნგრეთის, რუმინეთის და პოლონეთის ტერიტორიების ნაწილი. აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინა, ყოველთვის, რუსული იყო. იქ, რუსულენოვანი მოსახლეობაა, რომელიც განსხვავებით იმ შემოერთებული ტერიტორიებისა, თავს რუსად აღიქვამს.

დასავლეთელი უკრაინელები, ყოველთვის, რუსოფობიული განწყობით გამოირჩეოდნენ. იქ, 70-იან წლებამდე ბენდეროველები იყვნენ და შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდნენ. აი, ეს ვითარებაა. ისმის კითხვა: შეიძლებოდა თუ არა ომის თავიდან აცილება? — დიახ, თუკი მინსკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარკვეული გადაწყვეტილებები იქნებოდა მიღებული, მაგრამ უკრაინულმა მხარემ ეს არ გააკეთა. მიჩნდება ეჭვი, რომ უკრაინამ ეს გადაწყვეტილებები ვიღაცის რჩევის გამო არ შეასრულა. დაუკვირდით, რა ხდება: თავად აშშ რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებაში ღიად არ შედის და არც შევა. დიახ, იგი რუსეთთან ისეთ ქვეყნებს აჩხუბებს, როგორიც საქართველო და უკრაინაა. თუმცა, უკრაინა 50 მილიონიანი ქვეყანაა და ჩვენ, მხოლოდ 3,5 მილიონი დავრჩით. ამიტომ, ჩვენს თავს მივხედოთ. ხომ არ შეიძლება, ამ გაუაზრებელი პოლიტიკით მდგომარეობა დავიმძიმოთ. იმიტომ, რომ ჩვენ, სერიოზული პრობლემები გვაქვს. მე, ყოველთვის, შეგნებულად ვიკავებ თავს სცენარების განვითარებაზე საუბრისგან, მაგრამ რომელ მეზობელს რომელ ტერიტორიაზე უჭირავს თვალი ხომ კარგად იცით. რუსეთის სამხერდო ბაზა ქვეყნის სიღრმეშია შემოსული, რომელიც თავის დროზე საქართველოდან გავიყვანეთ, ხომ. ახლა, აგერ შუაგულ ქართლშია და მცირე მანძილი აქვს დარჩენილი ტრასამდე და მისი გადაკეტვა თავისუფლად შეუძლია. რატომ ვამწვავებთ ვითარებას?! ეს ურაპატრიოტული გამოხტომები რას ემსახურება?!

დასავლეთმა უფრო აქტიურ ჩარევაზე ხელი დაიბანა და მხოლოდ სანქციებით შემოიფარგლა, რისაც რუსებს ნაკლებად ეშინიათ. რუსეთზე გაცილებით ნაკლები ქვეყანაა ირანი, მაგრამ მერამდენე წელიწადია სანქციებშია და არსებობს. რუსეთს სანქციების არ ეშინია. რადგან მეორე მსოფლიო ომის შედეგების გადახედვა დაიწყო, რუსეთს შეუძლია უკრაინა ძველ კონფიგურაციაში დააბრუნოს. იუგოსლავიის მაგალითი ავიღოთ, რომელიც დაშალეს, ხომ. იგივე, შეიძლება აქაც მოხდეს. ვინ მოუბრუნდება და ეტყვის: ამის გაკეთება არ შეიძლებაო. მაშინ დასავლეთისთვის რატომ შეიძლებოდა შუაგულ სერბეთში კოსოვოს სახელმწიფოს დაფუძნება და აღიარება, როცა ალბანელი მუსულმანები, ისტორიულად, იქ არ ცხოვრობდნენ. აი ეს ვითარებაა. თუ დასავლეთისთვის შეიძლებოდა იუგოსლავია მარტივ




მამრავლებად დაეშალა და კოსოვო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ეღიარებინა, ახლა, რუსეთს როგორ ეწინააღმდეგება?!

უკრაინას ნეიტრალიტეტი რომ გამოეცხადებინა, საქმე აქამდე აღარ მივიდოდა. ახლა, ეს, უკვე, რუსეთისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. იცით, რატომ? ჯერ იყო და მოატყუეს, ნატო არ გაფართოვდებაო. როცა ნატოს გაფართოება დაიწყეს, რუსეთს ამის აღკვეთის შესაძლებლობა არ ჰქონდა, დასუსტებული იყო. გარდა ამისა, ეს, უშუალოდ, მის საზღვართან არ ხდებოდა. ახლა, როცა უკრაინა-რუსეთის, საქართველო-რუსეთის საზღვარზეა ლაპარაკი და რუსეთი გაძლიერებულია, რას ეუბნება დასავლეთი: შენ არავინ ხარ, ჩვენ, როგორც გვინდა, მაინც ისე გავაკეთებთო. რუსეთს, ახლა საშუალება აქვს, ეს არ დაუშვას და ამ შანსს ბოლომდე გამოიყენებს.

**— ვთქვათ, უკრაინაში რუსეთმა, მინიმუმ, რეჟიმის შეცვალა მოახერხა, მოგვიბრუნდა და ჩვენ გვითხრა: უარი თქვით ნატოზე და საქართველოში არ შემოვალო. ნატოც გვეუბნება: ვერ დაგიცავთო. მაშინ, როგორ უნდა მოვიქცეთ?**

— დავაკვირდეთ, რას აკეთებს ამ დროს ყოფილი ხელისუფლება, მასთან აფილირებული პოლიტიკური ძალები, მედია, ე.წ. ექსპერტები, არასამთავრობოები? — სიტუაციას უკიდურესად ამწვავებენ! სოციალურ ქსელში ისმის მოწოდებები: ახლა, კარგი მომენტია, სოხუმში და ცხინვალში შევვარდეთო. იქვე, ვიღაც უკრაინიდან მოგვიწოდებს: ტანკებით შედითო. ასეთი განცხადებები, მერე, პუტინის უშვერი სიტყვებით მოხსენიება, გინება, ზოგადად, ყოველგვარი ენერგიისა და ნებისგან დაცლილ ადამიანებს ახასიათებთ. ეს, პირდაპირ, გამოწვევაა. იცით, რატომ? — „ნაცმოძრაობა“ მშვენივრად ხვდება, რომ არჩევნების გზით ხელისუფლებაში ვერასდროს მოვა. ამიტომ, საჭიროა არეულობა. გაიხსენეთ, როგორი აღტკინებით შეხვდნენ ყაზახეთის მოვლენებს — ესიზმრებოდათ, რომ საქართველოშიც იგივე მომხდარიყო. მათ ეს სჭირდებათ. თუ ომს გამოიწვევენ, ხომ მთლად უკეთესი, ასე, თავიანთი მთავარსარდლის რეპუტაციას გარეცხავენ, ამ გაუგებრობით დროს იხელთებენ და ხელისუფლების სათავეში მოექცევიან.



ახლა, ღალატზე ყველაზე ხშირად სწორედ მოღალატეები ლაპარაკობენ, რომელთაც ჯიშში, სისხლში აქვთ ეს გამჯდარი და არაერთხელ ჩაუდენიათ მსგავსი საქციელი. საერთოდ, ეგრეა, ვისაც ეროვნული მოძრაობა ახსოვს, სუკის აგენტებზე ყველაზე მეტს ის ლაპარაკობდა, ვინც თავად იყო სუკის აგენტი.

**— ოპოზიცია ღარიბაშვილს საყვედურობს: რუსებს სანქციებს არ უწესებს და კიევში არ ჩადის სოლიდარობის მიზნითო?**

— მოდით, შეკითხვა შევუბრუნოთ: ევროკავშირის თავმჯდომარე 2008 წელსაც და ახლაც, საფრანგეთი იყო. სარკოზი მოსკოვში ჩაფრინდა და ფაქტობრივად, კონფლიქტი შეაჩერა. მაკრონი რატომ არ ჩავიდა მოსკოვში? ხომ შეეძლო ისიც სარკოზივით მოქცეულიყო. შეგახსენებთ, 2008 წელს აქ, სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტები რომ ჩამოვიდნენ, სარკოზის მოსკოვში, უკვე, ყველაფერი მოგვარებული ჰქონდა. აი, რომ მოილაპარაკებენ და ცეცხლი შეწყდება, კი ბატონო, მერე, ღარიბაშვილი კი არა, შეიძლება სხვა ქვეყნების პრეზიდენტებიც ჩავიდნენ, თუმცა, ვითარებას გააჩნია. რაც შეეხება სანქციებს, მითხარით: რას ვაწვდით, ჩვენ, რუსეთს ისეთს, რომ შევუწყვიტოთ?! სამტრედიის რკინიგზას გადავკეტავთ თუ რით უნდა დავაზარალოთ?! ამ უსინდისოებს დაავიწყდათ სწორედ სააკაშვილის დროს რომ გადაეცა რუსეთს ყველა სტრატეგიული ობიექტი და სერიოზული ბიზნესი?! საქართველოში წყალმომარაგებაზე შენი ქვეყანაა დამოკიდებული და მას დაუწესებ სანქციებს და საკუთარ მოსახლეობას წყალს შეუწყვიტავ, თუ რას იზამ? ნაცებს ვეკითხები: რუსეთი რით უნდა დავაზარალოთ? პირიქით, სანქციებით ჩვენ, გაცილებით დიდი ზიანი მოგვადგება, რასაც არავინ აგვინაზღაურებს. საერთოდ, ყველა ქვეყანა თავისი სახელმწიფოს ინტერესებიდან მსჯელობს — თუ რა გავლენას იქონიებს მასზე ეს სანქციები და გადაწყვეტილებას ამის მიხედვით იღებს.

**— დასავლეთის მიერ დაწესებულ სანქციებზე რას იტყვით, რუსეთს უკან დაახევიებს?**



— რაშია იცით, საქმე, როცა დარწმუნებით ამბობ, რომ ესა თუ ის ქვეყანა შენი სტრატეგიული პარტნიორია, ეს რაღაც ფორმით ხომ უნდა გამოიხატოს. ხოდა, ყველაზე მარტივი სანქციების დაწესებაა. თუმცა, მანამდე, ასჯერ ზომავენ: თავიანთი ეკონომიკის რომელ სეგმენტში შეიძლება სანქციების დაწესება აწყობდეთ. მაგალითად, რუსეთიდან ალუმინის ყიდვაზე, აშშ-მ სანქცია არ დააწესა იმიტომ, რომ ეს თვითონ სჭირდება. სანქციები, ყოველთვის, წესდება ისე, რომ ტავად დამწესებელი არ დაზარალდეს.

**— მუდმივად, გვესმის: რუსეთი დამპყრობელიაო. თუმცა, ნატოს გაფართოება ხომ მის სახელმწიფო უსაფრთხოებას ემუქრება. მეიტრალიტეტი მისი მხრიდან ლეგიტიმური მოთხოვნაა? განა, აშშ-ს არ ექნება პრეტენზია, რუსეთი თავისი ბაზებით რომ მიადგეს?**



— რა თქმა უნდა, ექნება. ლამის, მესამე მსოფლიო ომი დაიწყო, როცა ხრუშჩოვმა რაკეტების შეტანა გადაწყვიტა. ეს ხომ გვახსოვს. თავის გარშემო, არცერთ ქვეყანაში არ დაუშვებს, რომ სხვისი სამხედრო ბაზები ან შეიარაღება განთავსდეს. იგი, პირდაპირ ამბობს: ჩემთვის შეიძლება, შენთვის — არაო. ანუ, რაც ეპატიება იუპიტერს, არ ეპატიება ხარს. მე იუპიტერი ვარ და შენ — ხარიო. რა თქმა უნდა, აშშ თავისი სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე ფიქრობს. რუსეთიც იგივეს ითხოვს. სანამ ეს უკანასკნელი სუსტი იყო, დასავლეთს ყველაფერი გასდიოდა, მაგრამ ახლა, როცა რუსეთი მოძლიერდა, სანქციების გარდა სხვას ვერაფერს უწესებენ. ვის ჰქონდა ილუზიები, რომ უკრაინას ვინმე სამხედრო ძალით დაეხმარებოდა?! ავღანეთში ტრილიონები ჩაყარეს, იქაურობა იარაღით გაძეძგეს, მაგრამ ისე გამოიქცნენ მთელი იარაღი დატოვეს და ის მთავრობა მიატოვეს, რომელიც მათი ხელდასმული იყო. რაღაზე ვლაპარაკობთ.

**— ამ ომის უკან, სხვა მიზნებიც ხომ არ იკვეთება?**

— ჩვენ, ახლა, ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების პროცესში ვართ, რა დროსაც ჩვენი ადგილი ზუსტად უნდა მოვნიშნოთ. ჯერ ერთი ვეცადოთ: რაც დაკარგული გვაქვს ის დავიბრუნოთ და რაც ისევ ჩვენს კონტროლქვეშაა, გავუფრთხილდეთ.

**— ვისი ინტერესები უფრო იკვეთება რუსეთ-უკრაინის ომში?**

— როგორ შეიძლება ომი ვინმეს ინტერესებში იყოს, მაგრამ რეალობა ასეთია: წესით, რუსეთს ომი არ დასჭირდებოდა უკრაინას ნეიტრალიტეტი რომ გამოეცხადებინა. დღეს თუ ვინმეს აწყობს ომი, ეს, პირველ რიგში, აშშ-ია. 2008 წელსაც მოუსინჯეს კბილი, თვითონაც არ ეგონათ, რომ რუსეთი საქართველოში შემოვიდოდა. ახლაც, ასე იქცევიან — ამერიკელები ამით არაფერს კარგავენ, მაგრამ ეს კიდევ ერთი გადადგმული ნაბიჯია რუსეთის დასასუსტებლად. ასე აღიქვამს აშშ ამ პროცესს. ელემენტარულად, ჭკუათმყოფელი ადამიანი დაფიქრდება: დავუშვათ, მიიღწა ეს ამოცანა და რუსეთი დაშალეს. ჩვენ, ვის პირისპირ აღმოვჩნდებით?! თუ ჩრდილოეთკავკასია რუსეთის კონტროლის ქვეშ აღარ იქნება, ვინმეს წარმოუდგენია ამ რეგიონში რა შეიძლება მოხდეს?!

**— როგორც ამბობენ: ამ ომით რუსეთი მსოფლიოს დაუპირისპირდა. მის მოკავშირედ ვინ შეიძლება ჩაითვალოს?**

— ალბათ, ჩინეთს გულისხმობთ. იგი როგორც ყველა ქვეყანა თავისი ინტერესებიდან გამომდინარე ხელმძღვანელობს. ჩინეთი მოკავშირე იქნება ზუსტად იმ სეგმენტებში, რაც მისთვის სასარგებლოა, თავის საზიანოდ მოკავშირე არ იქნება.

**— როგორ ფიქრობთ, შემდეგი ჩვენ ვიქნებით?**

— ამის თქმა რთულია. ამიტომ, პროვოკაციები, რასაც „ნაცმოძრაობა“ ეწევა და რაც ცეცხლზე ნავთს ასხამს, ახლა, არფერში გვჭირდება.

**— სააკაშვილმა მოითხოვა: უკრაინაში დამაბრუნეთ და ქართულ პოლიტიკას ჩამოვშორდებიო.**

— განათლებით, ეს კაცი, იურისტია, ხომ. მის უკრაინაზე გადაცემაში სხვა არაფერი პრობლემა რომ არ არსებობდეს, ელემენტარულად, არ უნდა იცოდეს, რომ ქვეყანა პატიმარს არ გადასცემს იმ მხარეს, სადაც ომი მიმდინარეობს. ეს არის მორიგი ბალადა. აქ, ხომ დაამარცხა რუსები და მერე, იზეიმა, ახლა, იქ, დაამარცხებს.

**— ბოლოს, როგორ ფიქრობთ, რუსეთის მიერ გაჩაღებული ომი, უკრაინის დაბრუნების მცდელობაა თუ დაპყრობის?**

— ყირიმის შემთხვევაში, ეს, ცალსახად, დაბრუნებაა. ყირიმი, ნამდვილად, რუსული მიწა იყო, რომელიც თურქებისგან ომებით მოიპოვეს. ხრუშჩოვმა ადგა და ეს ტერიტორია უკრაინას ბანბანერკასავით აჩუქა. ამიტომ, ყირიმი რუსეთმა დაიბრუნა. რაც შეეხება დონეცკს და ლუგანსკს, რუსეთმა მათი დამოუკიდებლობა აღიარა და ალბათ, ასეც დარჩება. პუტინმა, უშიშროების საბჭოზე განაცხადა, რომ მათი შემოერთების საკითხი არ დგას.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# „ნაციონალები“ საქართველოში ომის დაწყებას მოუთმენლად ელოდებიან

5 გვ.

წესები შეცვლილია. უკრაინა დამოუკიდებელი სახელმწიფოა. დრო მოვა და მსოფლიო დიდი მოთამაშეების მეშვეობით, აღნიშნული საკითხი მოგვარდება. ჟღერდება ინფორმაცია, რომ ზელენსკი თანახმაა, ნეიტრალიტეტის საკითხი განიხილონ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. გამორიცხული არაა, რომ რუსებმა და უკრაინელებმა ერთმანეთთან საერთო ენა გამონახონ. ბოლო-ბოლო ისინი ხომ ერთი



ძირის ხალხია. პუტინები და სხვები მიდიან და მოდიან. უკრაინელი და რუსი ხალხი კი რჩება.

**— ანუ, ფიქრობთ, რომ უკრაინა ნეიტრალიტეტს დასთანხმდება?**

— ეს, შემთხვევით არ ხდება. რუსეთის მიერ მთლიანი უკრაინის ოკუპაციას, ვერავინ შეეგუება, ეს გამორიცხულია. ვფიქრობ, ეს კრემლშიც ესმით. ჩემი აზრით, ლუგანსკისა და დონეცკის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება მოხდება. ანუ, მინსკი-2-ის შეთანხმების ხორცშესხმა რეალურია.

**— უკრაინა ნეიტრალიტეტს თუ დასთანხმდა, საქართველო რა ნაბიჯს გადადგამს ამ მიმართულებით?**

— აქ, ცალკე საკითხია, რამდენად გარანტირებული იქნება ნეიტრალიტეტი. ანუ, როცა დასჭირდებათ უკრაინას ისე არ დაახიონ თავზე ეს შესაძლო გადაწყვეტილება, როგორც 1994 წლის 4 დეკემბრის ბუდაპეშტის ხელშეკრულების შემთხვევაში მოხდა, რის მიხედვითაც უკრაინიდან ბირთვული იარაღი გაიტანეს და მას სანაცვლოდ ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობას დაჰპირდნენ. ამის გარანტი იყო რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, აშშ და საფრანგეთი. შესრულდა ეს პირობა? — არა, ხომ. ამიტომ, ყველა ქვეყანა, დიპლომატიისა და ეკონომიკის გაძლიერებით, პოლიტიკურ ბრძოლებში თავის გატანას უნდა ეცადოს. ჩვენ, მოვლენების განვითარებას უნდა დაველოდოთ. ამ ქვეყანაში გადაუფასებელი არაფერია. ქართული ეროვნული ინტერესებისთვის როგორც აჯობებს, ის გზა უნდა ავირჩიოთ. ასე, ქვეყანაც ნაკლებად დაზარალდება.

**— ევროპის, აშშ-ს მიერ დაწესებულ სანქციებზე რას გვეტყვით?**

— მინდა გითხრათ, რომ სანქციები დიდხანს ვერ გაგრძელდება, ვინაიდან ამერიკელი, ფრანგი, გერმანელი გადამხდელი ბიზნესმენი, რომელიც ბიუჯეტში იხდის ფულს და ბიზნესი, ვთქვათ, რუსეთში აქვს, იქაური ხელისუფლება თანხის გადახდას რომ მოსთხოვს, საიდან გადაუხდის, როცა ბიზნესი აღარ ექნება?! ამიტომ, ამ მხრივ, მე, გვარიანად, სკეპტიკურად ვარ განწყობილი. მით უმეტეს, ისეთ სიტუაციაში, როგორიც დღეს არის. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ სანქციები არა მარტო რუსეთის, არამედ თავად დასავლეთის ეკონომიკურ განვითარებაზეც იქონიებს გარკვეულ გავლენას. საბოლოოდ, იმედია საღი აზრი გაიმარჯვებს და უკრაინის საკითხი დადებითად გადაწყდება. ჩემი აზრით, სისხლისღვრა არ უნდა გაგრძელდეს.

**— ხშირად გვესმის: შემდეგი საქართველო იქნებაო. არსებობს საფრთხე, რომ პროცესებმა აქეთ გადმოინაცვლოს?**

— გამორიცხული არაფერია. თუმცა, შეგახსენებთ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, „ნაცმოძრაობამ“ რუსეთს საქართველოს სტრატეგიული ობიექტები ჩააბარა. გარდა ამისა, რუსეთს სჭირდებოდა აფხაზეთი, როგორც შავ ზღვაზე გასასვლელი და ეს სურვილი აუსრულეს-კიდეც. მეორეც, პუტინს შეუძლია 20 წუთში ერთი ტანკი გამოიყვანოს, დააყენოს ტრანსკავკასიურ მაგისტრალზე. ანუ, შედეგად, აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოს კი არა, ევროპასა და აზიასაც შუაზე გაწყვეტს. რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებში, აქ, სხვა არც არაფერი შედის. ჩემი აზრი, ასეთია: პუტინს საქართველოსგან, უკვე, მიღებული აქვს რაც უნდოდა, რაზეც „ნაციონალებმა“ უკვე „იზრუნეს“. ამიტომ, ჩემი სოფელ კორმალოსთვის არ მგონია, რომ მოგვადგეს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# რა პრეტენზიები აქვს ვოლოდიმირ ზელენსკის საქართველოსთან?!



**ზელენსკის განცხადებამ, საქართველოდან უკრაინის ელჩის გაწვევის შესახებ, ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილის გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია.**

**რა სურს ზელენსკის? რას ითხოვს იგი საქართველოსგან და რა პრეტენზიები აქვს, მაშინ, როცა საქართველოს ხელისუფლება და ქართველი ხალხი თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ უკრაინას დაეხმაროს?**

**ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება, საქართველოში უკვე მოხდა 2008 წელს.**

**რა უნდა ბატონ ზელენსკის? ის, რომ საქართველომ თავისი სახელმწიფოებრიობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს და მის საბოლოოდ განადგურებას მოაწეროს ხელი?**

**კი, მაგრამ, რა ხეირი ამით უკრაინას ან იმ ძალებს, რომლებიც რუსეთთან დაპირისპირებისკენ გვიბიძგებენ?**

**გთავაზობთ სოციალურ ქსელებში საქართველოს მოქალაქეების მიერ ზელენსკის სამწუხარო განცხადების გამო გაკეთებული განცხადებების ფრაგმენტებს:**

დავით ბჟალავა:

სამარცხვინოა ზელენკის მხრიდან ელჩის გაწვევა! იმ ქვეყნიდან, რომლის 20% -ი ოკუპირებულია...

იმ ქვეყნიდან, რომელიც ისე მცირეა, რომ უკრაინის ერთ ქალაქში უფრო მეტი ხალხი ცხოვრობს, ვიდრე მთელ საქართველოში...

იმ ქვეყნიდან, რომლის მოსახლეობა - თბილისსა თუ რეგიონებში, მერამდენე დღეა ქუჩაშია და სოლიდარობას უცხადებს უკრაინას...

იმ ქვეყნიდან, რომელმაც ყველაზე მეტად იცის რუსული ჩექმის გემო...

იმ ქვეყნიდან, რომლის ჯარი 5




დღის განმავლობაში გაუმკლავდა რუსეთის წყეულ არმიას....

(სამწუხაროდ ახლა არ აქვს აზრი იმაზე წერას რა გადაწყვეტილება მიიღო მაშინ ქვეყნის პრეზიდენტმა.... და რა ბედია ეწიათ ომ გამოვლილ ჯარისკაცებს...)

როცა ზელენსკიმ თბილისში შეკრებილ მოქალაქეებს მადლობა გადაუხადა სოლიდარობისთვის და როგორც განაცხადა ხალხი უფრო გონიერია ვიდრე მთავრობა და რას ეუბნება ახლა იმ ხალხს... ასე უცებ დავკარგეთ გონი?!!!.....

ძალიან ცუდი და ქართველი ხალხის მტრები ყოლია მრჩევლად!!!... ხალხის და არა ხელისუფლების! ხელისუფლება, რომ არ მოსწონდეს სულაც არაა გასაკვირი - ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების ძებნილი ნაწილი თუ სხვები, სწორედ უკრაინას იყო შეფარებული ..

არც ჩვენ მოგვწონს ეს ხელისუფლება მოსახლეობის არც თუ მცირე ნაწილს, მაგრამ აქ ამ პატარა ქვეყანაში ასეთი არჩევანია - ცუდი ან უარესი!!!!!....

ხოდა ჩვენც ცუდს ვირჩევთ...!!!!

კარგი და მესამე არ ჩანს ჯერ...

და ამასობაში იმდენი ნაგავი დაგროვდა ხელისუფლებაში და ხელისუფლებაში მოსვლის მსურველებში - აუცილებლად მოუწევს ქართველ ხალხს ამ ნაგვის გატანა, მაგრამ არა ახლა!...

როცა ჩასაფრებულ მტერსაც ეს სურს, რომ როგორმე ერთმანეთს დავერიოთ...

ჩვენი უბედურებაც გვყოფნის ჩვენ!... დამარცხებულ, ოკუპირებულ ქვეყანას, ჯიბრში, რომ არ ჩაგვიდგეთ...

ია მეტრეველი:

კიდევ ერთხელ დაგვანახეს მოღალატე ნაცებმა საკუთარი მისწრაფება, როგორმე,დაბრუნდნენ ხელისუფლებაში.რაც ,სწორედ რუსეთის შემოსვლის და საქართველოს ომში ჩართვის შემდეგ უჩნდებათ . არ ეყოთ , 2008 წლის ომში ახალგაზრდების დაღვრილი სისხლი,რომ უამრავ ახალგაზრდა დედას ჩააცვეს შავი, რომ დაგვაკარგვინეს საუკეთესო, ტერიტორიები და ახლა კიდევ იგივეს გვიპირებენ, ვითომ უკრაინის დარდი ჰქონდეთ,სინამდვილეში ,ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი უჩნდებათ რუსეთის ხელით და ამიტომ არიან ასეთ ამბავში.ამას ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი ხვდება. ისევ სისხლი უნდათ ,ისევ გასამრავლებელი ახალგაზრდობის ჩახოცვა და დედების გაშავება. არ გეყოთ რაც თქვენი მთავრობის დროს ხოცეთ?!რაც 2008 წელს შეწირეთ გმირი ახალგაზრდები?!თქვე სისხლს მოწყურებულო ნაცებო. თუმცა მინდა დაგაწყნაროთ, ვეღარ ეღირსებით ,რადგან დღეს გვყავს პატრიოტი და ღირსეული პრემიერი,ასევე ხელისუფლება,- რომელთა გვერდით ხალხი დგას. რომელიც აღარასოდეს დაუშვებს უაზროდ ახალგაზრდების სი სხლის ღვრას და თქვენს ხელისუფლებაში დაბრუნებას. მადლობა უფალს რომ დღეს თქვენ აღარ ხართ ხელისუფლებაში . კმარა , რამდენი ოჯახი და დედაც გააუბედურეთ,რაც ჩემი დაიწყეთ

სულიკო კედელაშვილი:

თურმე 40 უკრაინელი, რომლებიც გუდაურში იყვნენ დასასვენებლად უკან სამშობლოში ვეღარ ბრუნდებიან და ქართულმა სახელმწიფომ (რა თქმა უნდა, პუტინის დავალებით) მიატოვა და ულუკმაპუროდ დარჩენილებს მხოლოდ მოქალაქეები ეხმარებიან!

ეხლა სიმართლე:

ეს ხალხი ჩამოიყვანა და დააბინავა ტურიზმის დეპარტამენტმა, უზრუნველყო საკვებითაც და ყველა საჭირო საგნებით. თქვენ კიდე ეს ფაქტი დამალეთ და ამბობთ, რომ თურმე არავინ ყურადღებას არ აქცევს!!!

ერეკლე კუხიანიძე:

კიდევ ერთი უაღრესად სწორი ნაბიჯი პრემიერისგან - თუ არ მისცა უფლება უკრაინის თვითმფრინავს, რომელსაც მოხალისეები უნდა გადაეყვანა უკრაინაში თბილისში დაჯდომის საშუალება!!

ეს იქნებოდა პირდაპირ სახელმწიფო დონეზე სამხედრო დახმარების გაწევის ტოლფასი!

არ ისვენებენ ეს ქვეყნის გამყიდველი ნაძირალები!!!

წასვლა თუ გინდა, წადი ისე - რომ შენ ქვეყანას არ ავნო რამე!!

აპოკალიფსის ლამის ოთხივე მხედარი გამოჩნდა დღეს უკრაინის ცაზე და თქვენ, უკრაინის ხელისუფლება, რით ხართ დაკავებული? მეგობარი ქვეყნის პრემიერ-მინისტრს გამიზნულ შეურაცხყოფას აყენებთ, პრეზიდენტი ომის დროს - უკრაინაში 55 მოხალისეს ვერ გაგზავნის გამო ელჩს იწვევს, მაშინ როდესაც შენთან ომში მყოფ ბელარუსის ელჩს არც კი ეხება''. - ასე ეხმიანება ექსპერტი დავით ქართველიშვილი უკრაინის პრეზიდენტის გადაწყვეტილებას საქართველოდან ელჩის გაწვევის თაობაზე.

როგორც ქართველიშვილი წერს, თქვენ ყოველი მომდევნო მცდელობაა, საქართველო უკრაინა-რუსეთის ომში მხარედ ჩაგეთრიათ - გასაგები იყო ჩვენთვის. თქვენ გაღიზიანებდათ ჩვენი გაწეული დახმარების ყოველი ფაქტი, ჩვენი მოძმე უკრაინელი ხალხისადმი გულწრფელად ნათქვამი ყოველი სიტყვა და თანადგომა, უკრაინელი ლტოლვილებისადმი სიყვარული და სტუმარმასპინძლობა - ეს ყველაფერი გაღიზიანებდათ!!!

,,მართლა იდიოტებთან კი არ გაქვთ საქმე, ყველაფერი იშიფრება და ექვემდებარება ლოგიკურ ანალიზს - რამეთუ გაკლიათ მრავალუჯრედიანი აზროვნების უნარი და გჩვევიათ მოწინააღმდეგის შესაძლებლობების დაკნინება. აპოკალიფსის ლამის ოთხივე მხედარი გამოჩნდა დღეს უკრაინის ცაზე - და თქვენ, უკრაინის ხელისუფლება, რით ხართ დაკავებული? მეგობარი ქვეყნის პრემიერ-მინისტრს გამიზნულ შეურაცხყოფას აყენებთ, პრეზიდენტი ომის დროს - უკრაინაში 55 მოხალისეს ვერ გაგზავნის გამო ელჩს იწვევს, მაშინ როდესაც შენთან ომში მყოფ ბელარუსის ელჩს არც კი ეხება. აზერბაიჯანი - რომელმაც დონბასის აღიარების დღეს პუტინთან ,,სამოკავშირეო დეკლარაციას" ხელს აწერს - არც კი გახსენდება და მოლდოვა, რომელმაც პირდაპირ განაცხადა ამ ომში თავისი ნეიტრალიტეტის შესახებ - შენიშვნის ღირსიც კი არ გახადე!!! ყურები გიჩანს - გამოდი ბუჩქებიდან! მხოლოდ იმაზე გვიპასუხე - საქართველოზე მიზანმიმართული და ორკესტრირებული შეტევა უკრაინული და ქართული მეხუთე კოლონების პოზიციებიდან შენით მოგივიდა თავში, არა/პატივცემულო უკრაინის ხელისუფლებავ..

დავით ქართველიშვილი:

მე მეცოდება თქვენს ხელში როგორც ქართველი, ასევე თითოეული უკრაინელი მოქალაქე. ომი უნდა დასრულდეს!!! უკრაინელმა და ქართველმა ხალხმა უნდა ამოისუნთქოს!!! თქვენ უნდა დასრულდეთ!!! საქართველოს ხელისუფლება უნდა გაძლიერდეს და ხალხის მხარდაჭერით, გაუძლოს ამ ვერაგულ პროვოკაციებს და მტრულ გეგმებს!!! დროა ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას!!! ხოლო ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენს თანადგომას ჩვენი უკრაინელი დებისა და ძმების მიმართ!!! **Слава народу України!!! David Kartvelishvili**.'' - წერს ქართველიშვილი **facebook**-ზე.

საქართველოში ომი არ იქნება!

ამის გარანტი დღეს არსებული ხელისუფლებაა, რომელიც ყველაფერს აკეთებს ამისათვის და მე მჯერა მათი იმიტომ რომ ვხედავ შედეგს!

**P.S.** ცნობისათვის! საქართველო-რუსეთის ომის დროს 2008 წელს უკრაინა არ შეუერთდა სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ!

მთელი გულით ვუსურვებ უკრაინელ ხალხს მშვიდობას და უკრაინას ერთიანობას!

დავით გელაშვილი:

ზელენსკის არ გაუწვევია ელჩი ბალარუსიიდან, ქვეყნიდან რომლიდანაც ყველაზე მძიმე შეტევებს იღებს უკრაინის დედაქალაქი კიევი. სამაგიეროდ, ელჩი გაიწვია საქართველოდან, საიდან ჰქონდა ყველანაირი პოლიტიკური და ჰუმანიტარული მხარდაჭერა. ეს ნიშნავს, რომ მას სურვილი აქვს საქართველო ღიად ჩაერთოს სამხედრო მოქმედებებში, რადგან რუსეთს მოუწიოს კიდევ ერთი ფრონტის ხაზის გახსნა.

რბილად რომ ვთქვათ, ზელენსკის ეს საქციელი არ არის კეთილსინდისიერი და სამართლიანი.

ეს არის მაქსიმალურად კორექტული შეფასება მისი ქმედებების მიმართ, რადგან კს დღეს საომარ მოქმედებებში ჩართული მეგიბარი ქვეყნის პრეზიდენტია. მაგრამ მოვა დრო, როდესაც ის მიიღება უფრო სამართლიან და უფრო მძიმე შეფასებებს საქართველოსგან.

პრემიერად დაბრუნებისთანავე ბრძოლა გამოუცხადა მოსახლეობის გამყვლეფელ:

ფარმაცევტულ მაფიას!

კაზინოების მაფიას!

იმიტომ რომ ყველასათვის ცნობილია რომ მისთვის პირველ რიგში მნიშვნელოვანია ქართველი ხალხის აზრი და არა ნაცების ლობისტების! ქართველი ხალხის ღირებულებები და არა ვინმე სხვის!

და რაც მთვარია, ირაკლი ღარიბაშვილი იცავს საქართველოს ინტერესებს! მან ბრძოლა გამოუცხადა უმოქმედობას და დაიწყო რეალური საქმის რეალურად კეთება!

სწორედ ეს მიზეზებია, რომელთა გამოც ასე ოცნებობენ მის გადადგომაზე კოლექტიური ნაცები, თუმცა მათი ოცნება ოცნებად დარჩება!

# საქართველოს ყველა პატრიოტმა მოქალაქემ მტკიცე მხარდაჭერა უნდა გამოუცხადოს ირაკლი ღარიბაშვილს და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას

*გვესაუბრება*
*საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე ალი ბაბაევი*



**— ბატონო ალი, რას იტყვით პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებაზე რუსეთ-უკრაინის კონფლიქტთან დაკავშირებით?**

— ყველა ვხედავთ, ნაციონალები ომის მომხრეები არიან, ჯერ 2008-ში ჩაებნენ უთანასწორო ომში, ახლა უნდათ, უკრაინის კონფლიქტი საქართველოში გადმოიტანონ. მათი ლიდერი ციხიდან ყვირის, მისი მონები გარედან აქეზებენ ხალხს — საქართველოს მთავრობამ არასწორი განცხადება გააკეთაო. პრემიერ-მინისტრს ბეწვის ხიდზე უწევს გავლა, რომ ქვეყანაში მშვიდობა და სტაბილურობა იყოს, მეზობელ ქვეყნებთან მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდეს; ესენი არ იწონებენ ამას და რუსეთს, თურმე, ომი უნდა გამოვუცხადოთ და სანქციებიც დავუწესოთ. მაგრამ რომელ სანქციებზეა ლაპარაკი — ხორბალი რომ არ შემოვიდეს რუსეთიდან, ჩვენი სპირტიანი სასმელები და მინერალური წყლები რუსეთში არ გავიდეს, ტრანზიტი ჩავუკეტოთ და სომხები, აზერბაიჯანელები, თურქები არ გავატაროთ? ამ ქვეყნებთანაც დავძაბოთ ურთიერთობა?



ერთი რამ ყველაზე მეტად მიკვირს: აქციებზე რომ ხალხი მიდის, არ ფიქრობენ საკუთარ ოჯახებზე, შვილებზე, საკუთარ მომავალზე და ქვეყნის ხვალინდელ დღეზე?! ნაციონალების ხელისუფლებაში დაბრუნებას უწყობენ ხელს? — ეს არ ეღირსება არავის! ეს არ მოხდება!

ჩვენ უკრაინელ ხალხს სოლიდარობას ვუცხადებთ. პატივს ვცემთ მათ ნებას და სურვილებს, მაგრამ საქართველოს ჩაბმა ამ ომში ჩვენი ქვეყნისთვის მხოლოდ უბედურების მომტანი იქნება.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვწუხვართ. რეგიონში ბოლო წლებში არაერთი ომის მომსწრე გავხდით — ვნახეთ აფხაზეთის ომი, ცხინვალის, ჩეჩნეთის ომები, ყარაბაღის ომი, 2008 წლის ომი. მეტს ვეღარ გადაიტანს ვერც რეგიონი და ვერც საქართველო.

**— სხვათა შორის, ყარაბაღის ბოლო ომში ირაკლი ღარიბაშვილმა პოზიტიური როლი შეასრულა და ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოს სურვილს და ინიციატივებს მშვიდობის შენარჩუნების კუთხით.**

— დიახ. დიახ. საქართველო დღეს არის ქვეყანა, რომელიც მეზობელ ქვეყნებთან კეთილმეზობლურ დამოკიდებულებაში არის და მშვიდობის მომხრეა.

პრემიერ-მინისტრმა სომეხი ტყვეების განთავისუფლებით უდიდესი წვლილი შეიტანა სომხეთ-აზერბაიჯანის საომარ კონფლიქტში. სამხედრო რუკის გადაცემაც ერთობ მნიშვნელოვანი სვლა იყო და ამას აფასებს ყველა მეზობელი ქვეყანა რეგიონში.

საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია. ჩვენ უნდა ვიფიქროთ ოს და აფხაზ ხალხთან შერიგებაზე, რუსეთთან კონფლიქტი კარგს არაფერს მოგვიტანს, პირიქით, ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ დიალოგისთვის, კომუნიკაციების გაფართოებისთვის, მოსალაპარაკებლად.

**— ბატონო ალი, იმაზე რა აზრის ხართ, სააკაშვილმა რომ გამოაცხადა: ქართულ პოლიტიკას თავს დავანებებ, ციხიდან რომ გავთავისუფლდებიო. ეს, ალბათ, მინიშნება იყო, მაგრამ მაინც — მისი განცხადება უნდა დავიჯეროთ თუ არა?**

— პირადად მე სააკაშვილის ერთი სიტყვის არ მჯერა და არც სააკაშვილს სჯერა, როგორც ვხვდები, თავისი ე. წ. გუნდისა.

მე მრცხვენია დღეს იმ ხალხის მაგივრად, რომლებიც თავის დროზე „ქართული ოცნების“ ავტორიტეტით შევიდნენ პარლამენტში, ახლა სტაბილურობის და განვითარებაზე ორიენტირებული დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ რომ გამოდიან — ეს ის ხალხია, რომლებიც უმაღლეს თანამდებობებს იკავებდნენ მთავრობაში. მათ სინდისი და ნამუსი დაკარგული აქვთ. დამთავრებულია მათი პოლიტიკოსობა. სად ჯანდაბაში იყვნენ ადრე უსუფაშვილი, ძიძიგური და ზოგიერთი მინისტრი, რომლებიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში აღზევდნენ? მაშინ მოსწონდათ თბილი სავარძლები და ახლა რომ აყეფდნენ უვარგისი ძაღლებივით. ხელფასები ჰქონდათ, გავლენები, თანამდებობები, მაგრამ მათ არც ქვეყნის სიყვარული აქვთ და ბოლოს და ბოლოს, არც თავიანთი ოჯახები უყვართ, რადგან სტაბილურობა და მშვიდობა არ სურთ ქვეყანაში.

ეპიდემია მძვინვარებდა და აქციებს აქციებზე აწყობდნენ, რაც შეიძლება მეტი ადამიანი რომ დაავადებულიყო და ბევრი მსხვერპლი ყოფილიყო.

ტურისტული სეზონი იყო, აქციებს მართავდნენ, რომ არასტაბილურობა შექმნილიყო, ტურისტი არ ჩამოსულიყო და ეკონომიკა დაცემულიყო. ქვეყნის იმიჯი შერყეულიყო.

**— რას ფიქრობთ, ამათ იარაღი რომ მისცე, წავლენ უკრაინაში საომრად?**

— ამ დღეებში ჟურნალისტ ნანა ლეჟავას ვესაუბრე და გამახსენდა: ქალბატონი ნანა იყო ის ადამიანი, რომელმაც 2008 წლის ომის დღეებში მთხოვა, გადავსულიყავით წითელი ხიდიდან აზერბაიჯანის ტერიტორიაზე და დავკვირვებოდით, ვინ გადადიოდა საზღვარზე და მართლა გარბოდნენ თუ არა იმ დღეებში ქართველი მაღალჩინოსნები საქართველოდან.

ნანა ლეჟავამ ჩაწერა მაშინ ქართველი ქალბატონი, რომელიც აზერბაიჯანში მუშაობდა და თავისი თვალით ნახა ჩემოდნებით, ოჯახის წევრებთან ერთად კილომეტრიანი რიგი რომ ჰქონდათ გამართული ქართველი თანამდებობის პირებს წითელ ხიდთან. სასტუმროები რომ ჰქონდათ დაჯავშნილი ბელაქანში და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ბევრ სასტუმროში, თურქეთის საზღვარზეც დაფიქსირებულია მათი გადასვლის ფაქტები. მაშინ, როცა ჩემისთანები იმაზე ვფიქრობდით, როგორ დავხმარებოდით უწყლოდ დარჩენილ, მშიერ და დაუცველ ადამიანებს ატენის ხეობაში, გორში და ახალგორში.



სად არის ახლა ვარძელაშვილი, „ჟულიკი“ კირკიტაძე, ან უშიშროების მაშინდელი ხელმძღვანელი ლომაია?! არ ახსოვთ 14-17-24 აგვისტოს „სოკარის“ მიერ გამოყოფილი ჰუმანიტარული ტვირთი რომ შევიტანეთ კონფლიქტურ რეგიონში?! მადლობაც კი არ უთქვამთ გვერდში დგომისთვის. ხალხო, ატენის ხეობაში თითო ოჯახს ერთ ცალ „პეჩენიას“ ურიგებდნენ. საოცარი არ არის? მადლობაც არ უთქვამთ-მეთქი, მაგრამ არავის უნდა მადლობა, ჩვენს სამშობლოს ახლა მაინც გაუფრთხილდნენ და სასიკეთოს რომ ვერაფერს აკეთებენ, ჩუმად მაინც იყვნენ.

მათ არავითარი უფლება არ აქვთ, ეს ხელისუფლება აკრიტიკონ. საყოველთაოდ ცნობილია, ომის დღეებში „ნაცმოძრაობის“ მაღალჩინოსნების „მარშრუტები“. ისინი მასობრივად გარბოდნენ საქართველოდან. ეს ძალიან გრძელი სიაა და საზოგადოებისთვის მათი ვინაობა კარგად არის ცნობილი.

**— ბატონო ალი, ამ ადამიანებს ერთხანს ვადამდელი არჩევნები ჰქონდათ ამოჩემებული, მაგრამ რამდენი არჩევნებიც უნდა ჩატარდეს, დარწმუნებული ვარ, ქართველი ხალხი არაა ისეთი ბრიყვი, ამათგან რომელიმეს რომ კვლავ ხმა მისცეს.**

— ათეული წლებია უკვე ქართულ პოლიტიკაში ვარ და ჩემი თვალით მაქვს ნანახი ნაციონალების მიერ ჩატარებული არჩევნები. ჩხუბი, გაწევ-გამოწევა, ყუთების გატაცება, ცემა იყო ყველა არჩევნებისთვის ჩვეულებრივი ამბავი. ეთნიკურად აზერბაიჯანელი ვარ და როგორ არჩევნებსაც ატარებდნენ ჩემი ეროვნების ხალხით დასახლებულ რეგიონში, ზედმიწევნით ვიცი — ტერორში ჰყავდათ ხალხი, ადამიანებო. სოდ-ი, კუდ-ი და პოლიციის კორდონები იდგნენ საარჩევნო უბნებთან, მოლებს ყურანზე აფიცებდნენ.

კირტიკაძე იყო ამის ერთ-ერთი შემოქმედი და ახლა გარაჟების დემონტაჟზე ლაპარაკობს. გაგეცინება ადამიანს: ამ კაცის „შემოქმედებით“ არის გაყიდული უცხოელებზე რუსთავის გარშემო დიდძალი მიწის ფართობები.

ესენი ემორჩილებიან თავიანთ „განუბაჟებელ“ ყოფილ პრეზიდენტს, მისი დირექტივებით ცდილობენ ხელისუფლებაში დაბრუნებას და ვერ ეგუებიან ბიძინა ივანიშვილის არსებობას.

ბიძინა ივანიშვილი უკვე ჩაიწერა ისტორიაში, როგორც დიდი ქველმოქმედი, კაცი, რომელმაც 10 წლის განმავლობაში ქვეყანა მშვიდობიანობაში აცხოვრა.

10 წელიწადია მე „ქართული ოცნების“ ერთგული ჯარისკაცი ვარ. სოფელ-სოფელ დავდივარ და განხორციელებულ პროექტებს ვაცნობ მოსახლეობას. რამდენიმე დღის წინაც ვიყავი რეგიონში და ვესაუბრე იქაურ მაცხოვრებლებს სოფლის მეურნეობის მიღწევებზე, ჯანდაცვის, საერთაშორისო მიმართულებების წარმატებებზე. ყველაფერ ამას მე ჩემი ქვეყნის სიყვარულის გამო ვაკეთებ. ბატონი ბიძინას პატივისცემის ნიშნად.

ბიძინა ივანიშვილზე ნაკლები მილიარდერები არ არიან დღეს საქართველოში და რომელმა მათგანმა გააკეთა უფრო მეტი ქვეყნის და ხალხის სასარგებლოდ?

მხარი უნდა დავუჭიროთ ჩვენი ქვეყნის მმართველობას დღეს. კინკლაობის დრო არ არის. სამშობლო, მშვიდობა და სტაბილური განვითარება უნდა იყოს ჩვენი მიზანი.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ვლადიმერ პუტინი: „ეს გახლავთ ვლადიმერ ილიჩ ლენინის სახელობის უკრაინა“

რუსეთის მოსახლეობისთვისაც მოულოდნელად, გასულ ორშაბათს, გვიან საღამოს, იქაური ტელევიზიები პირდაპირ ეთერში გადასცემდნენ ქვეყნის უსიშროების საბჭოს სხდომას, რაც დღემდე მკაცრად დახურულ კარს მიღმა ტარდებოდა. საბჭოს შეკრებას პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი უძღვებოდა. ძირითადად, აინტერესებდა დონბასის რეგიოში არსებული მდგომარეობა. ძალოვანი სტრუქტურების მინისტრებმა და ხელმძღვანელებმა გამოთქვეს აზრი, რომ სიტუაცია უაღრესად დაძაბულია, რეალურად მოსახლოდნელ შეტაკებას დიდი მსხვერპლი მოჰყვებოდა. საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის თქმით, დიპლომატიურად თითქმის შეუძლებელია კონფლიქტის მოგვარებაო. განსაკუთრებით აღინიშნა, რომ რუსეთის მოთხოვნები უგულებელყვეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ნატომ.

უშიშროების საბჭოს წევრებს პუტინმა გააცნო ლუგანსკისა და დონეცკის მოსახლეობის მიმართვა, რომლითაც ისინი მათი დამოუკიდებლობის აღიარებას ითხოვდნენ. დადებითი გადაწყვეტილება იქვე მიიღეს და პუტინმა ხელი მოაწერა ლუგანსკისა და დონეცკის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას.

ორჯერ მიმართა გასულ კვირას მოსახლეობას ტელევიზიით პუტინმა. ორივეჯერ დილით ადრე. პირველად ლუგანსკისა და დონეცკის რესპუბლიკების აღიარების შემდეგ. პროცედურა გვიან ღამემდე გრძელდებოდა. პუტინმა ერთსაათიან მიმართვაში ისაუბრა, თუ როგორ ცდილობდა რუსეთი დონბასის რეგიონში ლოკალური ბრძოლების, სისხლისღვრის შეჩერებას. ტრადიციულად, მომხდარში უკრაინის ყოფილ და დღევანდელ ხელისუფლებასთან ერთად, დასავლეთის ქვეყნებს, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატები, საერთაშორისო ორგანიზაციები დაადანაშაულა კონფლიქტისადმი გულგრილი დამოკიდებულებისთვის. მისი განცხადებით, 2015 წელს მინსკში ხელმოწერილი შეთანხმების ერთი პუნქტიც არ შეუსრულებია უკრაინას. შეგახსენებთ, ბელორუსის დედაქალაქში გამართულ მოლაპარაკებაში, რომელიც 16 საათზე მეტხანს გაგრძელდა, მონაწილეობდნენ საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი, გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, თავად პუტინი და უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო. შეთანხმების ერთ-ერთი მთავარი საკითხი დონბასის რეგიონში ცეცხლის შეწყვეტა, მებრძოლების გაყვანა და სამხედრო ტენიკის გატანა იყო. პოროშენკო ყველა პირობებს დათანხმდა, ხელშეკრულებას ხელიც მოაწერა, მაგრამ მოგვიანებით შესრულებაზე უარი განაცხადა. სათქმელია, რომ უკრაინის მხრიდან მინსკის ხელშეკრულების იგორირებაზე მათთვის არავის უსაყვედურია.

საგულისხმოა, რომ მოსახლეობისადმი მიმართვაში პუტინმა ისტორიაც გაიხსენა. მისი თქმით, დღევანდელ უკრაინას ტერიტორიების დიდი ნაწილი ბოლშევიკებმა, კერძოდ, ლენინმა უბოძა. „...ეს გახლავთ ვლადიმირ ილიჩ ლენინის სახელობის უკრაინა. თუმცა, აცხადებენ, დეკომუნიზაციას ვახორციელებთო. ძალიან კარგია, ჩვენ გვაწყობს დეკომუნიზაცია. მოდით, შუა გზაზე ნუ გავჩერდებით, მათ ვაჩვენებთ რეალურ დეკომუნიზაციას“, — თქვა პუტინმა მოსახლეობისადმი მიმართვაში.

ლუგანსკის და დონეცკის აღიარების შემდეგ პუტინმა ფედერალურ კრებას თხოვნით მიმართა, ნება დართონ უცხო ქვეყანაში ჯარების შესაყვანად, რადგან ახალმა რესპუბლიკებმა დახმარების თხოვნით მიმართეს. თავისთავად, კრებამ ერთხმად დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა. პუტინმა კვლავ ტელევიზიით მიმართა მოსახლეობას და განმარტა, ლუგანსკსა და დონეცკში (როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა საერთოდ უკრაინაში) ჯარების გაგზავნის მიზეზები. მისი განცხადებით, გარდაუვალია უკრაინის ჯარების შეჭრა დონბასის რეგიონში, რასაც მშვიდობიან მოსახლეობაში დიდი მსხვერპლი მოჰყვება. უკმაყოფილება ვერ დამალა ნატოს გაფართოების გამო. „მივიღეთ გადაწყვეტილება, განვახორციელოთ სპეცოპერაცია დონეცკისა და ლუგანსკის მოსახლეობის თხოვნით, ვაიძულოთ უკრაინის ხელისუფლება მშვიდობის დასამყარებლად. უკრაინის ოკუპაცია ჩვენს გეგმებში არ შედის. ხალხს შეუძლია, თავად განსაზღვროს, ვისთან ერთად გააგრძელოს ცხოვრება“. უკრაინელ სამხედროებს მოუწოდა, დაყარონ იარაღი და წავიდნენ სახლებში: „...ქვეყნები, რომლებიც ნებისმიერი სახით ჩაერთვებიან ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში, მიიღებენ ისეთ პასუხს, როგორიც არ ყოფილა მათ ისტორიაში. ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ“, — განაცხადა პუტინმა.





ალიარების გამოცხადებისთანავე უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი დმიტრო კულება სასწრაფოდ გაემგზავრა აშშ-ში. შეხვედრები გამართა სახელმწიფო დეპარტამენტში თავის კოლეგა ენტონი ბლინკენთან. ასევე ესტუმრა პენტაგონსაც. თეთრ სახლში შეხვდა პრეზიდენტ ჯო ბაიდენს (საერთოდ, პრეზიდენტის შეხვედრა რომელიმე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრთან პროტოკოლით გათვალისწინებული არ არის). არსებული ვითარებიდან გამომდინარე, აშშ-მ მკაცრი სანქციები დაუწესა რუსეთს. თუმცა ჯო ბაიდენის თქმით, სანქციები აშშ-ისა და, საერთოდ, მსოფლიოს ეკონომიკასაც დააზარალებს, მაგრამ დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე, უკან არ დაიხევს. სამაგიეროდ, აშშ და დიდი ბრიტანეთი კვლავ დაეხმარებიან იარაღით, მაგრამ მათ სამხედროები საბრძოლო მოქმედებებში არ ჩაერთვებიან.

რუსეთს სანქციები დაუწესეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებმა, მაგრამ ცდილობენ, დაიტოვონ „ხვრელები“, რათა საჭიროების შემთხვევაში გვერდი აუარონ სანქციებს და ითანამშრომლონ რუსეთთან. ამიტომაც არიან უკრაინელები უკმაყოფილოები, რომ რუსეთის წინააღმეგ ბრძოლაში დასავლეთის ქვეყნები მხოლოდ სანქციების დაწესებით შემოიფარგლნენ. „ნიუ-იორკ თაიმსი“ წერს, რომ „...რუსეთის ხელისუფლებამ ისე გადააწყო ქვეყნის ფინანსური პოლიტიკა, ძნელია მისი დაზარალება“. სანქციების დაწესება ჟურნალისტებს ჯო ბაიდენმა აუწყა. იქვე კიდევ ერთხელ განმარტა, რატომ არ დაეხმარება უკრაინას ჯარით სამხედრო ოპერაციებში. „...ჩვენ გვქონდა ორი გზა — ან უმკაცრესი სანქციები, ან კონფლიქტებში ჩართვა. რუსეთთან ჩვენი სამხედრო დაპირისპირება მესამე მსოფლიო ომის დაწყებას ნიშნავს, რომელიც ბირთვულ ომში გადაიზრდება. ეს კი არავის უნდა“, — უთხრა ჟურნალისტებს ბაიდენმა.

რეალურად რა ხდება ახლა უკრაინაში, ძნელია თქმა. საომარი, საბრძოლო მოქმედებისას ჟურნალისტების საქმიანობა შეზღუდულია. ამიტომაც იქ მყოფი რეპორტიორები ბუნკერებიდან და თავშესაფრიდან ყურმოკრულ ამბებს გვაწვდიან. დაბნეულია უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი. უცნობია, სად იმყოფება ის — კიევში თუ ლვოვში. ბრიტანეთმა შესთავაზა თავშესაფარი, მაგრამ არ წასულა. აშკარაა, რომ რა მოიმოქმედოს არსებულ სიტუაციაში, არ იცის. რამდენჯერმე ტელეფონით ესაუბრა ჯო ბაიდენს. პასუხი მიიღო, რომ აშშ და ნატოს ჯარები საბრძოლო მოქმედებებში არ ჩაერთვებიან. ბრიტანეთმა შესთავაზა უკრაინის ხელისუფლება დევნილობაში წავიდეს. თურმე ესეც დახმარება ყოფილა! თეთრი სახლის პრესმდივანმა ჯენ ფსაკიმ კითხვაზე, ვინ დაიცავს ზელენსკის, უპასუხა: „...მას დაცვა არ სჭირდება, მედგრად ეწინააღმდეგება მტერს. ბაიდენს შეიარაღება სთხოვა, რაზეც თანხმობა მიიღო“.

გასულ პარასკევს ზელენსკიმ მოსახლეობას ტელევიზიით მიმართა. მისი თქმით, „...უკრაინა მარტო, პირისპირ დარჩა რუსეთთან ბრძოლაში. ნატოს წევრ ყველა ქვეყნის მეთაურს ვესაუბრე და ვკითხე: იქნება თუ არა უკრაინა ნატოში. პასუხი არ მივიღე. დუმილია“. — თქვა გულდაწყვეტილმა. „...დასავლეთმა ჯერ გამოიყენა უკრაინა, შემდეგ ჩამოწერეს და რუსეთს დაუთმეს“, — აღნიშნავს ისრაელელი სამხედრო ექსპერტი და პოლიტოლოგი იაკობ კედმი. ზელენსკის გაურკვევლობაზე ისიც მეტყველებს, რომ გასულ კვირას ორჯერ მოითხოვა რუსეთთან მოლაპარაკება, მაგრამ ორივეჯერ გადათქვა. სამაგიეროდ, ჯარს მოუწოდებს, განაგრძონ ბრძოლა. ამის გარდა, განაცხადა, რომ იწყება უცხოელ მოხალისეთა ბატალიონების ფორმირება. ეს მაშინ, როდესაც ხუთშაბათს ნეიტრალიტეტის გამოცხადებაზე თანახმა იყო. კიევში და სხვა დიდ ქალაქებში მასობრივად დაარიგეს ცეცხლსასროლი იარაღი. მხოლოდ კიევში 25 ათასზე მეტი ავტომატი გასცეს. ვის დაურიგეს, არავინ იცის. ამიტომაც გახშირდა დედაქალაქში ძარცვა-მოროდიორობის ფაქტები. ასევე გაჩნდა განცხადებები: „იყიდება ავტომატი!“ გავრცელებული ინფორმაციით, ციხეებიდან დამნაშავეთა გამოშვებას გეგმავს ხელისუფლება, რათა გააგზავნონ საბრძოლველად.

კვირას საღამოს პუტინმა უბრძანა თავდაცვის მინისტრს და გენერალური შტაბის უფროსს ალექსანდრ გერასიმოვს, განსაკუთრებული სტრატეგიული ჯარების სრულ მზადყოფნაში მოყვანა. ვინც არ იცის, რას ნიშნავს სტრატეგიული ჯარების მზადყოფნა, ვეტყვით: ბირთვული ომის სამზადისია. რუსეთი კი განაგრძობს უკრაინაში სამხედრო ოპერაციას — „უკრაინის დენაციონალიზაცია-დემილიტარიზაციას“. რითი დასრულდება ყოველივე, ბევრად არის დამოკიდებული განვლილი შეხვედრის შედეგებზე. თუმცა პუტინის ბრძანება ერთგვარი მინიშნებაცაა, რომ არ მოერიდება მკვეთრ, რადიკალურ სამხედრო მოქმედებას. სწორედ ახლა გვმართებს საქართველოს მოსახლეობას პოლიტიკური სიბრძნის გამოჩენა, რათა არ გავდეთ სხვა ქვეყნების ცხელი ომის მსხვერპლი, ჩვენითვე არ დავანგრიოთ ეკონომიკა და, საერთოდ, ქვეყანა.

**გია ბურდული**
551 71 27 07



# საქართველოში მეხუთე კოლონის პარპაში უნდა ალიკვეთოს!

საქართველოს კარგად ახსოვს ე. წ. ვარდების რევოლუციის „საფინალო“ საღამოს როგორ ეწვია თბილისს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი და რეფერივით როგორ აუწია მარჯვენა გამარჯვების ნიშნად მიხეილ სააკაშვილს.

ბევრი დრო გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ივანოვის მიერ აწეული სააკაშვილის მარჯვენა, ფაქტობრივად, ძირს არ დაწეულა და ამ მარჯვენით იმდენი კარგი საქმე გაკეთდა რუსეთისთვის და იმდენი ცუდი საქმე გაკეთდა საქართველოსთვის, ეს მარჯვენა, სადაც სამართალია, კრემლის კედელზე უნდა ამოიკვეთოს, რუსეთის მხრიდან სამუდამო მადლიერების ნიშნად.

ენმ-ის დროს უამრავი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი გადაეცა რუსეთს,



მკვეთრად გაიზარდა რუსული ეკონომიკის ადგილი ქართულ ეკონომიკაში, გაიზარდა საბაზრო სექტორის არეალი, რუსი ბიზნესმენები მტკიცედ დამკვიდრდნენ სხვადასხვა ბიზნესდარგებში.

ასე ჩაიარა „ნაცმოძრაობისა“ და სააკაშვილის მმართველობის უმძიმესმა ცხრა წელმა, რომლის შედეგად 20%-ით დაპატარავებული საქართველო შეგვრჩა ხელთ, თავისი უმწვავესი პრობლემებით.

2012 წელს ხელისუფლებიდან ჩამოშორების შემდეგაც არ შეუცვლიათ თავიანთი ხელწერა სააკაშვილს და „ნაცმოძრაობას“.

ყველა პირობა მოიპოვებოდა იმისთვის, რომ „ნაციონალური მოძრაობის მოღვაწეობა შეფასებულიყო, როგორც უცხო ქვეყნის ინტერესებთან მჭიდროდ დაკავშირებული აგენტურულ-კრიმინალური ორგანიზაციის საქმიანობა, თუმცა, სამწუხაროდ, ამის გაკეთება ვერ მოხერხდა.

„ნაცმოძრაობა“ და მისი სატელიტი პარტიები, რომლებიც იდეოლოგიურად, ფინანსურად „ნაცმოძრაობასთან“ იყვნენ მიბმულები, ჩვეული ხელწერით განაგრძობდნენ საქმიანობას — ცდილობდნენ, შეჭრილიყვნენ პარლამენტის თუ ცსკო-ს შენობაში, აბსურდული, თითიდან გამოწოვილი მიზეზებით ითხოვდნენ არჩევნების შედეგების გაუქმებას და რიგგარეშე არჩევნების დანიშვნას და ა. შ.

„ნაცმოძრაობა“, განსაკუთრებით ბოლო წლებში, ქვეყანას, ფაქტობრივად, მუდმივი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის რეჟიმში აცხოვრებად, თუმცა, როგორც ვთქვით, „ქართულმა ოცნებამ“ ღირსეულად გაუძლო ამ მასიურ შეტევებს და ყველა დაპირისპირებიდან გამარჯვებული გამოვიდა.

●

უკრაინის გარშემო განვითარებულმა მოვლენებმა და ამ მოვლენებს მიბმულმა საერთაშორისო მასშტაბების სხვადასხვა საკითხებმა, ძირფესვიანად შეცვალა ქართული პოლიტიკური ცხოვრება და ისეთი მყიფე სახიფათო რეალობა შექმნა, სადაც შეცდომის დაშვება არ შეიძლება.

ეს ე. წ. რადიკალური ოპოზიციური პარტიები, „ნაცმოძრაობის“ მეთაურობით, შეეცდებიან, ისარგებლონ შექმნილი მდგომარეობით და უკიდურესად პროვოკაციული და ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯებით ღიად დააპირისპირონ საქართველო რუსეთს, რაც ჩვენი ქვეყნისთვის შეიძლება კატასტროფის ტოლფასი აღმოჩნდეს.

ისინი შესანისნავად გრძნობენ, რომ ახლა „მათი დროა“, რომელიც მოცემულ მომენტში თუ ეფექტურად არ გამოიყენეს, შეიძლება მსგავსი შანსი არასოდეს მიეცეთ.

ამიტომ, ალბათ, მიზანშეწონილი იქნება, თუ ქართული სახელმწიფო, საქართველოს ხელისუფლება უფრო მკაცრ კონტროლს დააწესებს როგორც „ნაცმოძრაობის“, ასევე სხვა პოლიტიკური ჯგუფების თუ ცალკეული პერსონალიების მიმართ.

არც რეპრესიებისკენ მოვუწოდებთ ვინმეს, არც ზედმეტი სიმკაცრისკენ — უფრო მეტ სიფხიზლეს, უფრო მეტ ყურადღებას, მეტი პრევენციული ზომების მიღებას მოვითხოვთ, რადგან დღეს ის მდგომარეობ არ არის, რაც გუშინ იყო.

დღეს საქართველოც არაორდინარულ სიტუაციაში იმყოფება და, გამომდინარე აქედან, საქართველოს ხელისუფლებაც და ქართველი საზოგადოებაც ისე უნდა მოიქცეს, როგორც შექმნილ მდგომარეობას შეეფერება.

საქართველოში მეხუთე კოლონის პარპაში უნდა ალიკვეთოს!

„საერთო გაზეთი“

# გაუმარჯოს უკრაინას, მაგრამ „საქართველო უპირველეს ყოვლისა“

ამ დღეებში ოპოზიციისა და მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მიერ უკრაინის მხარდასაჭერი კონცერტი-აქცია გაიმართა რუსთაველის გამზირზე.

საქართველოს მთავრობის განცხადებებით უკმაყოფილო ჩვენი მოქალაქეების ჰეროიკული გრძნობებით აღტყინებული ფენა უკრაინაში გაემართა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ქართული ოპოზიციური მედია მასირებულად, ამ ომში დამარცხებულად ცნობს რუსეთს. უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი კი გმირად ჰყავთ გამოცხადებული — სპეციალურად, პროვოკაციულად, მცდარად ასახელებენ დაღუპულთა, დაჭრილთა და დევნილთა რაოდენობის კოლოსალურ ციფრებს...



როიტერის ცნობით, გაეროს დახმარების გაწევის სააგენტოს ინფორმაციით, გუშინდელი მონაცემებით (28 თებერვალი — ი.კ.), მშვიდობიან მოსახლეობას შორის 240 ადამიანია გარდაცვლილი. უკრაინაში დაღუპულია 64 მოქალაქე, 160 000 დევნილი უკრაინელი უკვე იმყოფება ლტოლვილად მეზობელ სახელმწიფოებში.

60-ზე მეტი ადამიანის გარდაცვალებაც, თავისთავად ცხადია, დიდი ტრაგედიაა, თუმცა, მაინც სანუგეშოა, რომ დაღუპულთა რაოდენობა არც ისე ბევრია...

ქართველმა ხალხმა შესანიშნავად იცის დევნილობის ფასი და სიმწარე.

კარგად გვახსოვს 2008 წელიც, რომელიც შესაძლებელი იყო ხელისუფლებას თავიდან აეცილებინა ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით და მათ შორის დასავლეთის და აშშ-ის დამხმარებით, თუმცა მოხდა პროვოკაციული კონფლიქტი — 5-დღიანი ომი ცხინვალის რეგიონში...

დღეს უკრაინაში იგივე პროცესები მიმდინარეობს — წააქეზეს მურია და შეაჭამეს მგლებსო.

უკრაინის ნატოში გაწევრიანებას რომ რუსეთი მხარს არ დაუჭერდა, ეს თავიდანვე ნათელი იყო. ბუნებრივია, მას არ სურს მოექცეს უცხო ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის რკალში.

ორიოდე დღის წინ ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომელი ქვეყანაც უკრაინას მიემხრობა, თავის ისტორიაში გაუგონარ უბედურებას ელოდეს რუსეთისგანო...

სულ მიმაჩნია, რომ ქვეყნების ურთიერთობა ადამიანებს შორის დამოკიდებულებებს ჰგავს.

სამწუხაროა, რომ ადამიანებს, ზოგჯერ სიამოვნებას ჰგვრის სხვა ადამიანებს შორის კონფლიქტი და მეტიც, ხანდახან საკუთარი სარგებლისთვის, ხელსაც უწყობენ ამ კონფლიქტებს.

ასეა მსოფლიოშიც, სინამდვილეში, არავის ადარდებს უკრაინის ბედი. ყველა ცდილობს ხელი მოითბოს, ზოგმა ამერიკაევროპას აამოს, ზოგი იარაღით ვაჭრობით მდიდრდება, ზოგს რუსეთის ბოღმა კლავს და საბოლოოდ მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა არ გამოდის მშვიდობის ინიციატივით. ყველა დაგეშილი უყურებს, როგორ გაწეწავს უკრაინას რუსეთი და ოცნებობენ, იქნება, დადგეს დრო, რომ რუსეთი დაეცეს, რომ მის სიმდიდრეს ტარაკნებივით შეესიონ და საბოლოოდ გამოხრან...

ჩვენ მშვიდობისმოყვარე ქვეყანა ვართ, ამიტომ გაუგებარია, რატომ უნდა უხაროდეს საქართველოს რომელიმე ქვეყნის დამარცხება...

რა თქმა უნდა, მე არ შევუდგები გეოსტრატეგიული და გლობალური პოლიტიკის ანალიზს. ამას ჩემზე უკეთესად პოლიტოლოგები გააკეთებენ. ერთს ვიტყვი მხოლოდ, მართლმადიდებელი უკრაინისა და რუსეთის დაპირისპირება და განადგურება აქვთ განზრახული იმ ძალებს, რომელთაგან უმრავლესს რუსეთზე დიდი ისტორია არ აქვს და არც ქრისტეს სარწმუნეობას სცემენ დიდ პატივს.

ყველას თავისი სიმართლე აქვს ამ ომში. მაგალითად, რუსეთი თავისი გადმოსახედიდან საკუთარ საზღვრებს და სამშობლოს იცავს, იცავს „კიევსკაია რუს“-ს, კიევს და რუსეთის უძველეს მიწას უცხო დამპყრობლებისაგან.

46-მილიონიანი უკრაინა კი საშინელი ტრაგედიის წინაშე დგას. საქართველოში ეს ტრაგედია ნაციონალებს ხელისუფლებაში მოსვლის წინაპირობად აქვთ აღქმული და ყიჟინა და აჟიოტაჟი აქვთ ატეხილი: არიქა, რუსეთს ვამარცხებთ და ხელისუფლებაში მოვდივართო.

ღმერთმა ინებოს, ყველაფერი ისე დალაგდეს, რომ მშვიდობამ დაისადგუროს მსოფლიოში, მაშინ, როცა საქართველოში არსებული შინაური მტრები, ზოგიერთი ბრიყვიც და პროვოკატორიც, იმდენს ხტუნაობს, არავინ იცის, რა უდიდესი საფრთხის წინაშე შეიძლება დააყენონ საქართველო.

ამიტომაც გვმართებს გონიერება, რადგან ჩვენი ქვეყანა ჩვენთვის უმთავრესია...

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# ათი მცნება – უფლის მიერ შექმნილი კონსტიტუცია ადამიანებისთვის

## ადამიანები თუ ათი მცნების ყველა მოთხოვნას შეასრულებენ, დედამიწაზე სრული ჰარმონია და ბედნიერება დაისადგურებს



რატომ არის ამდენი ქალი დეპრესირებული? რატომ არის დეპრესირებული ქალების რაოდენობა ორჯერ მეტი ვიდრე კაცებისა. ამ კითხვაზე პასუხს იძლევა მრავალი წიგნის ავტორი, რადიო ტოკ შოუს წამყვანი, ამერიკელი პროფესორი **ლოს დენის პრეიჯერი**. მისი განმარტებით, ქალის უბედურების მიზეზია ფემინიზმი და გოგოების არასწორი აღზრდა. იგი წერს თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბედნიერების მისაღწევად საკუთარ თავზე გამარჯვება ანუ საკუთარი ინსტიქტების გაკონტროლება. ბედნიერება მიიღწევა მხოლოდ მაშინ როცა ჩვენ ვაკონტროლებთ საკუთარ ინსტიქტებს და არა პირიქით ინსტიქტები გვაკონტროლებენ ჩვენ და ეს სამართლიანია როგორც კაცებისთვის ასევე ქალებისთვის. საზოგადოებამ და მშობლებმა ყოველთვის იცოდნენ თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბიჭებისთვის იმის სწავლება რომ მათ გააკონტროლონ თავიანთი მამაკაცური ბუნება - მათი სექსუალური მოთხოვნილება და მათი მიდრეკილება ძალადობისაკენ. ყველა წესიერ კაცს ნასწავლი აქვს ახალგაზრდობიდან რომ ქალს შეეხოს სექსუალურად მხოლოდ მისი ნებართვით და რომ წარმართოს თავისი ფიზიკური აგრესია სპორტში ან ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში პოლიციაში ან სამხედრო სამსახურში შესვლით, იყოს ფიზიკურად ძლიერი რომ დაიცვას უდანაშაულო. კაცი რომელმაც ვერ ისწავლა თავისი ბუნების ამ ასპექტების გაკონტროლება ცუდი და უბედურია. საზოგადოებამ და მშობლებმა ყოველთვის იცოდნენ აგრეთვე თუ რამდენად მნიშვნელოვანია გოგოებისთვის იმის სწავლება რომ კონტროლი გაუწიონ თავიანთ ბუნებას, კერძოდ მათ მიდრეკილებას იმართებოდნენ საკუთარი ემოციებით. ქალები რომლებსაც თავიანთი ემოციები აკონტროლებენ არიან დამანგრეველი თავიანთი ოჯახების და უბედური. პრეიჯერი წერს რომ თანამედროვე ფემინიზმის წინსვლასთან და სხვა სოციალურ ტენდენციებთან ერთად რომლებიც დაემთხვა ფემინიზმის აღზევებას ბიჭებს ისევ ესწავლებათ საკუთარი თავის გაკონტროლება მაშინ როდესაც ასეთი მოთხოვნები გოგოებს აღარ წაეყენებათ. ფემინიზმი რომელიც უპირატესობას ანიჭებს ქალის ბუნებას, შეზღუდვას უწესებს მხოლოდ კაცის ნეგატიურ და პოზიტიურ ინსტიქტებს, მაშინ როდესაც აღარ ხდება ქალის ნეგატიური ინსტიქტების შეზღუდვა. პრეიჯერის სტატიაში გაანალიზებულია აგრეთვე სხვა ასპექტები რომლებიც ხელს უწყობს ქალის უბედურებას და დეპრესიულობას. მოყვანილია მაგალითები მამაკაცური ფასეულობების დევალუაციის, ქალის მიერ ქალურობის დაკარგვის და ასე შემდეგ. პრეიჯერი აპროტესტებს ვირტუალურ სივრცეში გადასულ ურთიერთობას. გაციებულ, გაუფერებულ საზოგადოებას. მისი აზრით ჩვენს დროში ადვილია უბრალოდ ქმნიდე იმის შთაბეჭდილებას, რომ სხვებთან ატარებ დროს. მაუსის დაწკაპუნებით ჩვენ შეგვიძლია „დავუკავშირდეთ“ათასობით „მეგობარს“ ისე, რომ არც ერთი მათგანი არც დავინახოთ. ტექნოლოგია მშვენიერი რამ არის და ძალიან კარგ საქმეს ემსახურება, როცა საყვარელი ადამიანი შორს გვყავს. ძვირფასი ოჯახის წევრებისგან შორს ვცხოვრობთ; ჩვენ ვიცით, რას ნიშნავს ეს. თუმცა მჯერა, რომ ჩვენ, როგორც ინდივიდუალები და მთლიანად, როგორც საზოგადოება არასწორი მიმართულებით მივდივართ, როცა ოჯახის წევრებს ან მეგობრებს ვესაუბრებით ძირითადად იუმორისტული სურათების, ბანალური გამონათქვამების ან ბმულების გადაგზავნით. ალბათ მსგავს რაიმეს თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს, მაგრამ რამდენ დროს ვუთმობთ ამას? თუ ჩვენ ბოლომდე არ ვხარჯავთ საკუთარ თავს და დროს მათთვის, ვინც ნამდვილად მნიშვნელოვანია ჩვენთვის, დადგება დღე, როცა ამას ვინანებთ. პრეიჯერი თვლის, რომ მსოფლიოს ისტორიაში არცერთ საბუთს არ შეუცვლია სამყარო უკეთესობისკენ ისე, როგორც ათ მცნებას. დასავლური ცივილიზაციისთვის, რომელმაც შემოიღო ადამიანის უნივერსალური უფლებები, ქალთა უფლებები, გააუქმა მონობა, საფუძველი ჩაუყარა საპარლამენტო დემოკრატიას და სხვა, ეს არის მხოლოდ ნაწილი იმ უნიკალური მიღწევებისა, რაც შეუძლებელი იქნებოდა რომ არა ათი მცნება. ათი მცნება ისეთივე მნიშვნელოვანია დღეს, როგორც ორიათასი წლის წინ, როდესაც ისინი მოსეს გადაეცა. უფრო მეტიც, ისინი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიოს სხვა არც კი სჭირდება, იმისათვის რომ მასში არ იარსებოს ტირანიამ და სისასტიკემ. ერთი წუთით წარმოიდგინეთ მსოფლიო, სადაც არ არის მკვლელობა, ქურდობა ან ყაჩაღობა. ასეთ მსოფლიოში არ დაგვჭირდებოდა არც ჯარი, არც პოლიცია და არც იარაღი. კაცი, ქალი თუ ბავშვი თავისუფლად ივლიდა და იქ წავიდოდა, სადაც მოისურვებდა დღისით თუ ღამით და არ შეეშინდებოდა, რომ მას მოკლავდნენ ან დააყაჩაღებდნენ. ან წარმოიდგინეთ მსოფლიო, სადაც არავინ არ შეხედავდა შურის თვალით მეზობლის ქონებას, სადაც შვილები პატივისცემით მოეპყრობოდნენ თავიანთ მშობლებს და ოჯახი გაიფურჩქნებოდა და აყვავდებოდა, სადაც ადამიანები ცილს არ დასწამებდნენ და არ მოატყუებდნენ ერთმანეთს. კარგი ცხოვრების რეცეპტი სწორედ რომ ამ საოცარ ათი მცნებაშია მოცემული.თუმცა არის ერთი პირობა. ათი მცნება ემყარება რწმენას, რომ ისინი მომდინარეობენ ისეთი ავტორიტეტისგან, რომელიც უფრო მაღლა დგას ვიდრე ნებისმიერი ადამიანი, მეფე თუ მთავრობა. ამიტომაც არის, რომ ათ მცნებას თან ახლავს განცხადება, რომ ყველა მათგანი ღმერთის წარმოთქმულია. საქმე იმაშია, რომ თუ ათი მცნება, როგორი ამაღლებულიც არ უნდა ჩანდეს, წარმოსდგება მხოლოდ ადამიანური ავტორიტეტისგან, მაშინ ნებისმიერი იტყოდა, – ვინ არის ეს მოსე, ან ეს მეფე თუ დედოფალი, ან ეს მთავრობა, რომელიც მეუბნება მე თუ როგორ უნდა მოვიქცე. კეთილი, მაშ რა გვაფიქრებინებს, რომ ღმერთი აუცილებელია ათი მცნებისთვის, რის გარეშეც ათი მცნება ათი მცნება ვერ იქნებოდა? მარტივად რომ ვთქვათ, თუ ღმერთი არ გვეუბნება იმას, რომ ადამიანის მკვლელობა არასწორია, მაშინ ადამიანის მკვლელობა არასწორი არაა. ბევრს ეს შეიძლება აბსურდული ეჩვენოს და თქვას, რეებს მიედ-მოედებითო. გვეტყოდნენ, ანუ რას ამბობთ, იმას რომ შეუძლებელია იყო კარგი ადამიანი თუ ღმერთის არ გწამს? გპასუხობთ მაქსიმალურად გასაგებად. ეს არ გულისხმობს იმას, რომ ადამიანი, რომელსაც არ სწამს, კარგი შეიძლება არ იყოს. ისევე როგორც არსებობენ ცუდი ადამიანები, ვისაც ღმერთის სწამთ. თქვენც შეიძლება ფიქრობდეთ, რომ შესანიშნავად იცით, რომ ადამიანის მკვლელობა არასწორია და ამისათვის ღმერთი არ გჭირდებათ. თქვენი ეს პასუხი, თუ ამის გჯერათ, მხოლოდ ნახევარ სიმართლეს შეიცავს. ეჭვი არ გვეპარება, რომ თუ თქვენ ათეისტი ბრძანდებით და გჯერათ, რომ ადამიანის მკვლელობა არასწორია, ესეიგი მართლა გჯერათ, რომ არასწორია. უკაცრავად, მაგრამ თქვენ გჭირდებათ ღმერთი, რომ ეს მან გითხრათ. ჩვენ ყველას გვჭირდება ღმერთი, რომ ეს მან გვითხრას. საქმე რაშია იცით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენ ჩვენი გამოცდილებით ან ცოდნით მივედით აზრამდე, რომ მკვლელობა ცუდია, საიდან იცით, რომ ეს მართლაც ასეა? კი არ გჯეროდეთ ან ფიქრობდეთ, რომ მკვლელობა არასწორია, არამედ იცოდეთ, რომ არასწორია. დიახ, ზუსტად რომ იცოდეთ ეს. სიმართლე ისაა, რომ თქვენ ამის ცოდნა არ შეგიძლიათ. რატომ? იმიტომ რომ ღმერთის გარეშე სწორი და არასწორი უბრალოდ პირადი შეხედულებები და რწმენაა, მხოლოდ კერძო აზრია. თქვენ შეიძლება ფიქრობდეთ, რომ ქურდობა არასწორია, მაგრამ სხვა ასე შეიძლება არ ფიქრობდეს. თუ ღმერთი არ არსებობს, მაშინ სრულიად მთელი მორალი მხოლოდ კერძო აზრი და პირადი რწმენაა. პრაქტიკულად ყველა ათეისტი ფილოსოფოსი ამას აღიარებს. მეორე სირთულე, რაც ახლავს შეხედულებას, რომ მკვლელობა არასწორია და ამისათვის ღმერთი საჭირო არაა, არის ის, რომ უამრავ ადამიანს არ გაუზიარებია თქვენი ეს შეხედულება. ამისთვის შორეულ წარსულში მოგზაურობა სულაც არაა საჭირო. კომუნისტურმა და ნაცისტურმა საზოგადოებებმა მთლიანობაში დაახლოებით ასი მილიონი ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს, ომში დაღუპულები რომ არ ჩავთვალოთ. ზედმეტად თავდაჯერებულები ნუ იქნებით და ნუ მიაწერთ ადამიანებს სწორის და არასწორის გარჩევის უნარს უმაღლესი ავტორიტეტის გარეშე. ძალიან ადვილად შეიძლება დაგიყოლიოთ ან მთავრობამ, ან დემაგოგმა ან იდეოლოგიამ და დაგაჯეროთ, რომ ის არასწორი საქციელი, რასაც შეიძლება სჩადიოდეთ, არასწორი სრულებით არაა. იმ შემთხვევაშიც კი თუ შეძლებთ სწორის და არასწორის გამოთვლას, ღმერთი მაინც აუცილებელია. იმათმა ვინც იციან რა არის სწორი და რა არასწორი, უმეტეს შემთხვევაში ყოველთვის არასწორად იქცევიან. იცით რატომ? იმიტომ რომ მათ ეს შეუძლიათ. მათ ეს შეუძლიათ, იმიტომ რომ ფიქრობენ რომ არავინ უყურებს. მაგრამ თუ ადამიანი გაიაზრებს, რომ მორალური კანონის წყარო ღმერთია, მაშინ მას სჯერა, რომ ღმერთი მას სულ აკვირდება. მაშასადამე, ათეისტიც რომ იყოთ, თქვენც გენდომებოდათ, რომ ადამიანებს ათი მცნების მორალური კანონის მიხედვით ეცხოვრათ. და ალბათ ათეისტიც აღიარებდა, რომ თუ ათი მცნება ღმერთის ბოძებულია და არ წარმოადგენს ადამიანის მხოლოდ მიკერძოებულ შეხედულებას, ცხოვრება ყველასთვის უკეთესი იქნებოდა. სამიათასი წლის მანძილზე ვერავინ ვერ მოიფიქრა ადამიანის ყოფის გაუმჯობესებისთვის ათ მცნებაზე უკეთესი სისტემა და ვერც ვერასდროს მოიფიქრებს.





**მარიამ ჯანჯღავა**
511 17 73 72

# ანჩხლი



ვიცი, ახლა ამის დრო არ არის, მთელი მსოფლიო დაზაფრულია, იქით პანდემია, აქეთ - ლამის მესამე მსოფლიო ომი, ანუ უკრაინის დაშლა-დანაწევრება სამად თუ ოთხად, მაგრამ ჩვენი ქვეყნის კანზედ გამოსულ მუწუკებსაც თუ არ მივხედეთ, არც ეგრე გამოვა. დადგება დრო, პანდემიაც გადაივლის, მსოფლიოც დაშოშმინდება, უკრაინასაც ეშველება, ავღანეთსაც (რავი!), სირიასაც, ერაყსაც, თუ ახლა არ მოვკვეთეთ, მუწუკი და ძირმაგარა უფრო გამიზეზდება, ოპერაცია აღარ უშველის, შეიძლება სახელმწიფოს მეტასტაზებადაც კი მოედოს.

ადამიანის მსგავს არსებას, რომელზეც ახლა უნდა მოგითხროთ, ძალიან ხშირად იწვევენ ე.წ. კრიტიკულ მედიაში. ასე უწოდებენ (კრიტიკულები ვართო) საკუთარ თავებს „ჭუტავიზიის“, „კეზერვიზიისა“ და „გვარამვიზიის“ უვიცი მუშაკნი. მიუხედავად იმისა, რომ ამ არსებას ამ ქვეყნიერებისა არაფერი გაეგება, მაინც მიჰყავთ სტუდიაში სალაპარაკოდ... პრინციპში, სალაპარაკოდ კი არა, სამიეთმოეთოდ. მას შუბლის ძარღვი იმ დონეზე აქვს გაწყვეტილი, რაც არ უნდა უკიჟინო, რაც არ უნდა ჭკუაზე დაარიგო, რაც არ უნდა ფაქტები დაუდო, რაც არ უნდა თავზე ხელი გადაუსვა, მაინც თავისას მიერეკება, გამიშვით, ჩემი ბელადი სააკაშვილია, მუხლებში უნდა ჩავუვარდე და ფეხები დავუკოცნოო. ყველას ეკამათება, ყველას შეურაცხყოფს, ცოცხალი არ იცის და გარდაცვლილი - აგერ, 2022 წლის 21 თებერვალს „აჭარის ტელევიზიით“ გამოიყვანეს სადებატოდ (?!), მსახიობ ანრი ბიბინეიშვილს უმტკიცა, „იმედში“ სპეცრაზმი რომ შეიჭრა, სააკაშვილმა არ იცოდა, ეგ მის კომპეტენციაში არ შედიოდა, მაშინ დემოკრატიის ისეთი მაღალი ხარისხი იყო, პრეზიდენტი ვერ ჩაერეოდაო. ფაქტია, ტიპი აშკარად წაუაჯმებს, მაგრამ ხშირად წაუთესლებს კიდევაც, ვახო ხუსმიაშვილის გადაცემაში ბიბინეიშვილს ეუბნება, ბადრი პატარკაციშვილი კრიმინალი და მკვლელი იყო, რაც დაემართა, კანონზომიერად მიიღოვო. გაიგონეთ? ბადრი მკვლელი და კრიმინალი გახლდათო, ხელს ადებს. გადაცემის წამყვანს მხოლოდ ისღა აღმოხდა, ეგრე არ შეიძლება, ადამიანი გარდაცვლილიაო. გგონიათ, ამ თაღლითმა ბოდიში მოიხადა, ან შეკრთა? არა, პირიქით, სულ არ მაინტერესებს, მკვდარია თუ ცოცხალი, მე სიმართლეს ვლაპარაკობო.

ბარემ გეტყვით... დავით ნებიერიძის გვარ-სახელით წამოსვამენ ხოლმე სტუდიაში და ჭკუას ეკითხებიან. იმ ჭკუას ეკითხებიან, საერთოდ რომ არ გააჩნია. ტიპს ქართული ჰაბიტუსი არ აქვს, უფრო აზიური წარმოშობისა უნდა იყოს, გამომეტყველება და ხმის ტემბრიც ამაზე მიანიშნებს. გვარსახელი აშკარად გადაკეთებული აქვს. თუმცა ამას არც უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა, იქ ილოცეო.

კაცი?

ეს არსება კაცობისგან ისევე შორსაა, როგორც დეპუტატი მაჭუტაძე ჩინეთის იმპერატორის ქვისლობისგან!

მე მას ანჩხლი შევარქვი, სტუდიაშია თუ აქციაზე, ყველგან ანჩხლობს, მიზეზიანობს, უზრდელობს, ყველას შეურაცხყოფს... არადა, ერთი გაუთლელი ვინმეა, მუდამ იმაზე ყბედობს, როგორ უნდა დაემხოს ეს ხელისუფლება, როგორ უნდა მოეთხოვოს პასუხი ბიძინა ივანიშვილს, როგორ დაიჭერენ ირაკლი ღარიბაშვილს და როგორ გააკულაკებენ კახა კალაძეს. „დაჟე” იმაზეც გველაპარაკება ხოლმე დიდაქტიკურად, როგორ შეცვლის სახელმწიფო ინსტიტუციებს თაკო ჩარკვიანთან ერთად.

მა რააააააააა!

როგორც ამბობენ, ამხანაგ ნებიერიძის მეუღლე მუშაობს ენერგეტიკის სამინისტროში, თანაც კაი ხელფასზე. ეს ტიპი ცხოვრობს იმ ხელფასით!

ამოცანა გვეკითხება:

როდესაც აგი ფუყე ადამიანი ცოლის გვერდით ბალიშზე დადებს ხოლმე გოდორივით თავს, რას ეუბნება - მოდი, ჩემო სუყველაყავ, ჯერ უნდა დაგამხო, შემდეგ კი დაგაპატიმროვო?

უთუოდ ეგრე იქნება, ფაქტობრივად ისინი ხომ კლასობრივი მტრები არიან?

სხვათა შორის, ეგეთი წუპაკებით სავსეა ქართული სინამდვილე - ქმარი სახელმწიფო მოხელეა, ცოლი სახელმწიფოს დამხობაზე ლაპარაკობს... ცოლი სახელმწიფო მოხელეა, ქმარი დამხობაზე ლაპარაკობს.

ამათი დასამხობი სად არი, ამათ ვინ რას დაამხობინებს, მაგრამ მაინც საინტერესოა, ბალიშებზე თავების დადების შემდეგ რაზე ლაპარაკობენ, რა გეგმებს განიხილავენ, ნეტავ ერთმანეთის მიმართ აგრესიულები არიან? ხომ არ აქვს ადგილი ოჯახურ ძალადობას?!

მუუუჰაჰაჰაჰაჰა!

ხუმრობა იქით იყოს, ამას წინებზე ამ თემაზე მცირე პოსტი სოციალურ ქსელში გამოვაქვეყნე, სულ რამდენიმე წინადადება იყო. ამან, ამ ალფონსმა, ცოლის ხარჯზე რომ ცხოვრობს და ის ცოლი კიდევ სახელმწიფოს ხარჯზე ამას აცხოვრებს, პირადი მიმოწერის განყოფილებაში შემომივარდა და ისეთი სიტყვებით მაგინა - თვალო, ნუ დაინახავ, ყურო, ნუ გაიგონებ!

შე ასეთო და ისეთო, მე ცოლი საერთოდ არ მყავს, ოჯახს რაზე ეხები, შენი დედის ისა ვქენიო. წუპაკია, რა უნდა ველაპარაკო?!

ჯერ ერთი, მე ვამბობ, რომ ის ალფონსია, მუდმივად ცხოვრობს ე.წ. მეუღლეების ხარჯზე. მეორე - მე არ ვეხები მის ოჯახს და ამას თვითონაც აღიარებს, ცოლი არ მყავსო. თუ ცოლი არ ჰყავს, მაშინ რომელ ოჯახზეა ლაპარაკი? გეტყვით (გადავამოწმე), ვინაიდან ბატონი ანჩხლი ყოველ საღამოს ტელევიზორში იძახის, ეს ხელისუფლება უნდა დაემხოს, გაუმარჯოს ბელად მიშასო, მისი მეუღლე „სვინდისს“ შეუწუხებია და როცა ერთ ღამეს ბალიშებზე თავები გადააგორეს, ამისთვის უთქვამს, მოდი, ხმები დავყაროთ, ვითომ ერთმანეთს დავშორდით, თორემ სამსახურში ხალხს თვალებში ვეღარ ვუყურებ, დამცინიან, ეს რანაირი ტრულაილა ქმარი გყავსო? ამასთანავე, შე ისეთი უკომპრომისო ხარ, ისეთი გაუტეხელი, შეიძლება მაგის გამო სამსახურიდან გამომიშვან, მერე რა ვქნათ, როგორ ვიარსებოთ, პური ჩვენი არსობისა ხომ გვინდაო? მოილაპარაკეს, ამიერიდან ცალცალკე ვიაროთ, მოსახლეობას ერთად არ დავენახოთ, მარტო ბალიშებზე თავების დადების დროს შევხვდეთოო. კაიო, მიუგო ამან, ამ არამზადამ, მაგრამ დადებული პირობა მაინც ვერ შეასრულა, ხან ისე წამოუვლის ხოლმე მიზიდულობის ძალა, ვერ ზომავს, სამსახურთან დაეყუდება ხოლმე და სცემს ბოლთას ვლადიმერ ილიას ძე ლენინივით. სხვათა შორის, ძალიან ჰგავს ჰაბიტუსით ლენინს!

ჰო, ბატონმა ანჩხლმა ისიც მომწერა, სუსი მაგრად დაყ...ევებულა, ეგეთ არასწორ ინფორმაციას რომ გაწვდის ჩემი ოჯახური მდგომარეობის შესახებო. ისე, ამისი და ამნაირების დაობებული ჭკუით, მხოლოდ ამათი ოჯახებია ფასეული, ხელშეუხებელი, ირაკლი ღარიბაშვილს სახლშიც შეიძლება შეუვარდნენ, ბავშვებიც შეაშინონ, შეურაცხყოფაც მიაყენონ და ასე შემდეგ. ესენი ძაან ფაქიზოები არიან, კახა კალაძის ოჯახი ოჯახად არ ითვლება, არც ბიძინა ივანიშვილის ოჯახი. მიუხედავად იმისა, ამათ არ გაეგებათ, ვისი ვისსაში აქვთ, მაინც არ უნდა უხსენო, ეს შეურაცხყოფაა, ეს მიუღებელია, თუ ივანიშვილის ოჯახს ამოსვრი ტალახში, ეს გმირობაა, პატრიოტიზმია. არა, ამნაირმა ბიძინას ოჯახი როგორ უნდა ამოსვაროს, ეგ არც ისე იოლია, მაგრამ სიტყვაზე ვამბობ, ამ ქვეყანაში მოიპოვებიან იდიოტები, რომლებსაც, თქვენ წარმოიდგინეთ, ამისიც სჯერათ, განა არა?

მოკლედ, ბევრმა არ იცის, ეს ანჩხლი სააკაშვილის ზეობის ხანაში კარგად იყო, საგადასახადოში მუშაობდა და არც შემოსავალს უჩიოდა. როცა სააკაშვილის ბანდა გადაშენდა, სხვებთან ერთად ესეც გაიქცა უკრაინაში, სადაც შულერი გახდა, „კარტოჟნიკობა“ დაიწყო. შემდეგ ისეთი რაღაცები ჩაიდინა, უკრაინიდან „დაარეპორტეს“ და იქ ჩასვლა საერთოდ აუკრძალეს, უამრავი ადამიანი ჰყავს გადაგდებული, კაზინოებშიც ჩალიჩობდა. თბილისში „გადმოსროლის“ შემდეგ ხან ვის აეტოღრიალა, ხან ვის, სულ სხვის ხარჯზე ცხოვრობს და თქვენ წარმოიდგინეთ, ექსპერტიც კი გახდა. გაიგონეთ? ტიპი შულერი იყო და ახლა ექსპერტია, ლამის ყოველ საღამოს ეძახიან ე.წ. ტელევიზიებში და ქვეყნის მომავალზე ჭკუას ეკითხებიან - აბა, ბატონო დავით, გვითხარით, ეს საკითხი როგორ იქნება, მოვლენები როგორ განვითარდება, როგორ მოვიქცეთ, რა გვეშველებაო? ამან რომ რამე იცოდეს, რამე რომ გაეგებოდეს, ჯერ საკუთარ თავს უშველიდა, ანა-ანა არ ივლიდა, ალფონსურ ცხოვრებას არ „მიაწვებოდა“.

არავითარი პირადული, მე მინდა, ამ ქვეყანაში ინდაურებს ჭკუას არ ეკითხებოდნენ, ბატები არ ვექილობდნენ, წერა-კითხვის უცოდინარნი არ ლიტერატორობდნენ, უვიცთ საპასუხისმგებლო საქმეებზე არ ამუშავებდნენ და ასე შემდეგ. როდესაც ადამიანი ტელევიზორში გამოგყავს, მას უნდა ჰქონდეს სინდისი, ნამუსი და ავტორიტეტი. როდესაც ამ ყველაფრის უქონელს სახელმწიფოს მოწყობასა თუ არმოწყობაზე ეკითხები, შენც უვიცი ხარ... ან კიდევ დავალება გაქვს, მხოლოდ იდიოტები ალაპარაკო.

ვიმეორებ: მე არავისი არც ოჯახი მაინტერესებს, არც ლოგინი, არც პირადი ცხოვრება, როცა ამ ქვეყანაში შენი ჭკუის დასარიგებელი არავის არაფერი სჭირს, უბრალოდ უნდა გაქრე. დიახ, უნდა გაქრე, თუნდაც ყოველ საღამოს გეძახდნენ „ჭუტლექსვიზიასა“ თუ „ჩაჯვივიზიაში“. საკუთარ ცხოვრებას გადახედე, უკან მიიხედე, სარკეში ჩაიხედე, დაფიქრდი და მერე ილაპარაკე. აი, შალვა ნათელაშვილი რატომ გამოაბუნძულეს პარლამენტიდან, რა დააშავაო? ის დააშავა, რომ 30 წლის განმავლობაში ააქოთა ე.წ. ქართული პოლიტიკა. იგივეა ამ მხრივაც, ამნაირმა სულწაწყმედილმა შულერებმა წაბილწეს საექსპერტო-სამეცნიერო წრეები. ამნაირმა უვიცებმა დაიკავეს ის ადგილები, სადაც ჭკვიანი ახალგაზრდები უნდა მსხდარიყვნენ. ამიტომ, დროა, ასეთები გავრეკოთ პოლიტიკიდან, საექსპერტო წრეებიდან და საინფორმაციო საშუალებებიდან.

ეს ის არსებაა, საქართველოს კათოლიკოსს, მის უწმინდესობას ნაბიჭვარს რომ უწოდებს. განა შეიძლება, ასეთი უწმინდური ტელევიზორში დასვა და მაღალ მატერიებზე ალაპარაკო? განა შეიძლება, ასეთმა რეგვენმა საზოგადოებას აუხსნას, რას ნიშნავს პატრიოტიზმი და სამშობლოს სიყვარული?

არ შეიძლება, არა, ეს უბრალოდ დაუშვებელია!

ჰო, კიდევ ერთი... ანჩხლი იძახის, სუსს ტყუილი ინფორმაცია მოუწოდებიაო. თუ ამათზე რამეს იტყვი, ეგრევე სუსს ახსენებენ, ეგრევე აგენტი ხარ. ამნაირების წარსული, დღევანდელი ცხოვრება და წადილი რომ გაიგო, სუსი სულაც არ არის საჭირო. ჩემს თვალწინ გაირბინა 30-მა წელიწადმა, ყველა გავიცანი დედა-ბუდიანად, უკვე იმდენი ვიცი, არავისი დახმარება და მით უფრო ინფორმაციის მოწოდება აღარ მჭირდება.

ასეა, ეს!

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# ᲝᲢᲝᲑᲐᲘᲐ

## ᲛᲝᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲛᲘᲐᲜᲔᲑᲐ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜ ᲜᲘᲜᲝ ᲡᲣᲮᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲓᲒᲛᲣᲚᲘ ᲪᲔᲙᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ „ᲝᲢᲝᲑᲐᲘᲐ“



ოტობაიას ცეკვა შექმნა ჩემმა დისწულმა,
ოტობაიას ცეკვა შექმნა ჩემმა ძმისწულმა,
სუხიშვილია, ნინო ჰქვია იმას სახელად,
ნაციონალურ ბალეტს ცისკენ მიაწიაღებს.
წინ მიდის ჟამი, კიანთდება სიახლის ჩქერი,
ისევ ცერებზე ნარნარია, წყვილ-წყვილად ქროლვა,
ამაზე მეტად გულს რა მადლი მოუფონებდა,
ასე დამეწყრილს და დამეხილს საერთო ვარმით?!

ოტობაია შემოსულა უკვდავ სცენაზე,
შენი წყალობით დისწულო ჩემო,
ბასკმა პოეტმა, ეჩიპარემ: ეუსკარაო,
გადიო ხალხში, მოედანზე, მოეფინეო,
მთელს დედამიწას, აი, ასე, აი, ამგვარად.
და ცრემლი ჟონავს, რადგან ჩემი ოტობაია
ენგურის გაღმა მონათლულა აფხაზურ ხაშტად,
რაღაც ადგილად დასვენების, სავანეც როა,
ჰაი, დედასა, გვარ-სახელი გამოუცვალეს,
ასე შუმერში ზიუსუდრა გადანათლულა,
უთნაფიშთიმი დარქმევია, სულ ბოლოს — ნოე,
აი, იმგვარად. მეცრემლება, მექვითინება,
შემოგვრჩენია ორსღა სიტყვა ოტობაია,
მალემქროლ წყვილებს დიდ სცენაზე სუხიშვილების
და კიდევ, კიდევ ფეტელავას, გულადად შობილს.

ოტობაიას ცეკვა შექმნა ჩემმა დისწულმა,
ოტობაიას ცეკვა შექმნა ჩემმა ძმისწულმა,
სუხიშვილია, ნინო ჰქვია იმას სახელად,
ჩემს ალტყინებას კიდე-განი არ აძებნება,
ვერ დააზუსტებ ახლა იმის კოორდინატებს:
„გეოგრაფიულ სახელს ხშირად ვარქმევთო ცეკვებს,
გვაქვსო ზეკარი, საქართველოს უღელტეხილის,
გვაქვსო ჯუთაო, ხევსურეთში ჰქვიაო სოფელს,
ასე ლამაზი ნათლობები აღძრავსო ხალისს,
ახალ სიცოცხლით აღავსებსო სამშობლოს ჩვენსას“.
დიდებულია ყოველივე დისწულო ჩემო,
და ეს სახელი აწ შინაარსს თუ დაისართავს,
ოტობაელთა საჯილდაოს, სახასიათოს,
ხომ ერთსხეულად შეინაკვთა ცა და ხმელეთი?!

ოტობაიას ცეკვა შექმნა ჩემმა დისწულმა,
ოტობაიას ცეკვა შექმნა ჩემმა ძმისწულმა,
სუხიშვილია, ნინო ჰქვია იმას სახელად.
მე ვეუბნები დიდ ქალბატონს, მშვენიერ ნინოს,
ნუ მაგრძნობინებ თავს ძვირფასო უთვისტომობით,
გთხოვ, ამ ცეკვაში შეიტანო რეკონსტრუქცია,
რგოლად შეჰკარი ეგ სიმრავლე თქვენი წყვილების.
დე იციბრუტონ ხოლმე იმათ ქარის სისწრაფით,
ეს ციბრუტები ჩვენო ნინოვ, ჩვენო ბრძენქალო,
ხომ აღიარებს თქვენი ცეკვის მამრულ ხასიათს,
ხო, დიახ, იგი **Maskulinum** არის გენებით,
და კიდევ, კიდევ მდედრულია, **Femininum**-ი,

ო, როგორ მინდა ამ ცეკვაში წრედი შეიკრას,
სადაც ქარების სტვენაა და მგლების ყმუილი,
სადაც არწივის ირაო და ფერხულებია,
ამ ორთაბრძოლა-ჭიდილებზე ბედისწერასთან,
გამოგვადგება აქ სეხნია ტურაბელიძის,
ნაბადის ლოგო, ლაზტი ჰქვია ამას ქართულად,
სად ალაგია ქამრის ნაცვლად ბასრი ყამები
და სხლტომებია, დაიახაც, მათ მოსახელთებლად.
აქ გენეტიკურ საწყისების დაზუსტებაა,
რაიც ცეკვისას, ციბრუტისას გადის ეთერში
და მახსოვრობის ნიშნით აღძრავს ჩვენს რეალობებს.
მოხრილობაა, შენს მეორე კოლეგას ახლავს,
დიდებულ კესოს, ქურდაძეა მეუღლის გვარით,
ყმაწვლიობისას დავითაშვლს იმას უხმობდნენ,
ახსოვს პარიზი, ტოკიო და ლონდონი, რიო,
ახსოვს რომი და ცეცხლის წვიმა პომპეის ფრესკის,
მალე ჩვენთანაც ის ტორნადო დასადგურდება,
ალესილ ნიჩბის ქარიშხლებით და სივილებით,
აქაც იგივე ლავლავია შუარუსთველზე,
ორკაპა ენის ლავლავია დრაკონისებრი.
ჰოდა, ეს ჩვენი კესო დიდი ქვასვეტის ახლოს,
ქართველ ჭაბუკებს, ჰო, ჭაბუკებს გადეფარება,
ოთხჯერ გაუვლის იმას ტანში მხუთავი ტყვია,
მაგრამ ვერაფერით მოერევა მროკავის სხეულს,
თუმცა მომშვილდავს თაღის მსგავსად იმას ძალუმად
რომ იქ მორწმუნეს ქედმოდრეკით შეესვლებოდეს.

ოტობაიას ცეკვა შექმნა ჩემმა დისწულმა,
ოტობაიას ცეკვა შექმნა ჩემმა ძმისწულმა,
სუხიშვილია, ნინო ჰქვია იმას სახელად.
ო, როგორ მინდა ამ ცეკვაში შეიკრას წრედი,
დრაკონს სჩვევია ამნაირი შემორკალვები,
რათა წიაღში გამოგუდოს ძე ამირანი,
დარჯელანადაც რომ იწოდა მაღალ მუშვანში.
ნინოვ, ძვირფასო, როკვა განა მხოლოდ ცეკვაა,
ის სიმბოლოა ზეცის თაღის მოტრიალების,
ჰო, იმ თავანის ზოდიაქოს აღწერილობით,
ოცდაექვს ათას წელიწადში ერთხელ მობრუნდეს,
და ამას ცეკვა თქვენებური თუკი გადმოსცემს,
ხომ ქურუმულ სულს ესალბუნა შვების მომგვრელად?!
ო, როგორ მინდა შეიტანო რამე ცვლილება,
ამ წყვილეულთა გასაოცარ გამოქროლვებში,
რაც გვეუბნება: „ჩვენ ვიყავით ციურ თავანის,
დიახ, ო, დიახ, შარავანდის მოწილხვედრენი“,
და კიდევ მინდა ამ ცეკვაში გაკვესოს ჰანგმა,
სოტკილავა რომ დასცხებს ხოლმე ტენორულ ნიჭით,
„სისა ტურავა„, ან „არიქა და შარიქაო“,
ერთ ბოკუჩავას შტატებში რომ აბოჟირებდა,
დაე, აღიძრას ამ ერთადერთ ცეკვა-ბრუალში,
სამუდამისო რამ ჩვენი ცქნაფი წუთისოფლიდან,
სადაც ვარდანა, ჩვენს კვიტიას, ყელს უღადრავენ,
და მის ღმუილით აღივსება სამურზაყანო.



მინდა გამოჩნდეს კვლავაც ხატი ადამიანთა,
ვინც არ იციან შიში რაა, უხორცოს დარად,
ომიანეა ამგვარ ჯიშის, ამგვარ ჯილაგის,
საჯაიაა იგი გვარით, ბოჩიას ბიჭი,
მქროლი თაურით რომ დაჰქონდა სამეტოქონი.
ამ ომიანეს ძმადნაფიცი მოჰყავს სოფელში,
განგმირულია იგი გალში ვერაგის ხელით,
კოკია იგი, ოყუჯავა, ჯიქად ხმობილი,
რომ არ შეუდრკა მტერს, მუხლებზე აღარ დაეცა,
ხელი შემართა ადრეკილის დაძაგრულობით,
ჩაცხრილეს იქვე და დააგდეს შუაქუჩაში.

ოტობაიას ცეკვა შექმნა ჩემმა დისწულმა,
ოტობაიას ცეკვა შექმნა ჩემმა ძმისწულმა,
სუხიშვილია, ნინო ჰქვია იმას სახელად.
ა, ხედავ რამდენს, რამდენ რამეს გადავწვდი უცებ,
ძველებს გაფიცებ, მერე გვანცას, უცნობებს ჩემთვის,
და კიდევ, კიდე მთაგრეხილებს კავკასიონის,
რამაც შექართა, რამაც შეკრა ჩვენი სულები,
რომ შეიტანო ცვლილებები, გარდასახვები,
რომ შეიტანო შენს ცეკვაში რეკონსტრუქცია,
წყვილებს შთაბერო ქურუმული გასაგისები,
იყოს ქროლვები თქვენებური, ოღონდაც რვასი,
რვასი, დიახაც, მუდმივაა დედაბუნების,
ის შაირია, რვაფოთლაა ფესტოს დისკოდან,
ის ლოტოსია აწვართული ბაჰაის ტაძრად,
დიახ, მიეცი შინაგანი სწრაფვა წრისაკენ,
ასე შეჰკარი ლასოებად ეს სასწაული,
ჯერეც ხომ იგი სრბოლაშია სინდიყის დარად,
ვით წიწილები გაფანტული ქორის მოქროლვით?!
შეჰკარი-მეთქი, ჰო, შეჰკარი მოქნილ მარყუჟად,
ამ დაუდაგარ კაცისათვის შეჰკარი იგი,
ყელზე მოვირგო და უკვდავში გადავნაპირდე.

ოტობაიას ცეკვა შექმნა ჩემმა დისწულმა,
ოტობაიას ცეკვა შექმნა ჩემმა ძმისწულმა,
სუხიშვილია, ნინო ჰქვია იმას სახელად,
აგერ, თითებით გამოგიწევ ყელს აბორგებულს,
იქნება აღძრა იმ ცეკვაში მქრალი სახენი,
თუნდ ალე, ჩვენი მეწისქვილე, ძოწენიძესი,
დოლაბთა ქოთქოთს გარიდული
ნისლს რომ გაჰყურებს,
ანდა მამია რატიასი, გზაგასაყართან,
სად სამჭედლოში ცხენთა ჭედვა გაჩაღებულა,
ანდა იაშა აშორტია, ეს ქანქანესა,
ტყემლის არყისგან მოციაგე შრატის თვალებით,
ანდა ძაძუა მიშა ჩვენი, პურის ფქვილიან
ტომარა მხარზე გაუდვია, შინისკენ მიდის,
ზოგჯერ გაფისულ ტელეგრაფის ბოძს მიეყრდნობა,
და მხოლოდ მაშინ გაიელვებს კბილებში „პრიმა“.
ხოლო ეს „პრიმა„ აივნიდან აქუხებს ნაპოს,
ხუფენიაა, აცვლევინებს მხარს ძილქუშ სოფელს.
აგერ, მობრდღვინავს თემ-შარაზე ნიკო ბატონი,
იზორიაა, ჩვენიანია ჯანოს დიდპაპა,
აყალმაყალი ამტყდარა და დილაბნელიდან
იარაღსხმული სამამაცოდ წასწრაფებულა,
მეომრულია მათი სული აკვნის რწევიდან:
ორდე, რევაზი, ჩომბე, მზევი მდედრის აღნაგი,

პაექრობისას მერეხივით შეგასკდებიან.
კიდევ რამდენი, ო, რამდენი ფერთა ციაგი,
დოლის ტოლაა, გიზო ცეკვის მასწავლებელი,
აკორდიონსაც ზუსტად თავის თარგზე გაწელავს,
აქ ასულები და ბიჭები იხვითქებიან,
ხოლო სვეტებზე შეყენებულ იატაკქვეშეთს
„ზაროჩნიკები“ კამათლებით შეკედლებიან,
ეჯიბიაა, ტუტუ, ზიმულ სახეიშვილი,
კიდევ მესამე, მეხუთე და მონა-მორჩილი.
აქ კი აჩქარა, ეს მუსუსი საქალეთისა,
სახეყირმიზი, ეს აჩქარა ზანთარაია,
კატის თათებზე აწეული მოცქვარუნდება,
სამასწავლებლოს მიგაბრძანოს, დაგცხონ ჯგუფურად.
მარილს გვითესავს მისი ჯიში, მთვარის ანარეკლს,
ყველივით იჭერს, ამ ყიამეთ, ამ ცივ ზამთარში,
და კიდევ პილა სექანია, კოსინუსებით,
და კიდევ ჟორა რურუაა ულლებებებით,
საქილვაშეზე ბალანს გწიწკნის სახედაძაგრით,
და კიდევ ტრიფო ალფენიძე, „შე ძუიკოთი“.
ხელის გაწვდენის სიახლოვეს მეგონას ძინავს,
ბჟინავა გახლავთ ძარღვიანი და ხმაროხროხა,
იმის ხვრინვაზე უმწიფარი ხილი მოცვივა,
რომელთაც მერე ფრინველები დაესევიან.
იქ უნდა იყოს გაბელია გემთამპყრობელი,
შუაგულ ზღვიდან რომ აბრუნებს სატვირთო ხომალდს,
მუქთად მიჰქონდა ჩვენებურთა თხილის ტომრები,
„ოტობაიას“ წარწერებით, სხვა არაფერი.
იქ უნდა იყოს ზარენ ქარდა, მათლაფა ჭორფლით,
რომ აყრევინებს ღორებს ყურებს ყანის მაოხართ,
იგი თოხნისას ცხელი ტყვიით განიგმირება,
და თვით პუჭიკო თაკალანძე, ხმის აწევისთვის,
და თვით აკაკი შენგელია თვალთა მკვესავი,
მერე საკუთარ საბძელში რომ დაანაცრებენ,
და ბაკვა ჩვენი, ძელქვასავით, სახეიშვილი,
ვერ დაეჭიდნენ, მასაც ტყვიით დაამდოვრებენ,
წარაღბაია, ალფენიძე და მეფორია,
ვინც კი ასწია ოტობურად თავი ამაყად.
ათი, ასი და ასჯერ ასი, აურაცხელი,
ჟამთა ტრიალში ძახველისფრად დაღვრილი გზა-გზა,
და მის იქითაც ფოთოლცვენას რომ მიაქანებს,
უკვე ხრიოკულ და გაძარცვულ უსიერიდან,
აი, ამათზე მესაუბრე როკვით, ძვირფასო!

ოტობაიას ცეკვა შექმნა ჩემმა დისწულმა,
ოტობაიას ცეკვა შექმნა ჩემმა ძმისწულმა,
სუხიშვილია, ნინო ჰქვია იმას სახელად.
ეს ყისმათია ქართველ კაცის, საქართველოსი,
ეს ბედისწერის ფარგლებია სულში გაჩრილი,
ეს გენეტიკურ მახსოვრობის ინსტრუმენტია,
ბრუნვა-ფერხულით, ხორუმებით და ციბრუტებით,
ეგი ჩინური კედელია გობის ზეგანზე,
ერთადერთი რომ ირეკლება მთვარის სარკმლიდან,
რომ მიკამკამებს მუხადიდის სიმყუდროვეში,
პირში კუდგაჩრით, ოქროს ვერძის სადარაჯოზე.
ა, იმ ცეკვაში მინდა აღსდგეს მეფის მხატვარი,
ხარაჩოდან რომ დაუცურდა დიდ კონსტანტინეს,
ანდა ვლადიმერ ალფენიძეს, ივერ ეგრისელს,
ჟინი ანთართან რომ არკინებს პირველობისთვის,
იმ ოქროს ვერძთა მწყემს მზეჭაბუკ ოტობაიას,
ღმერთს რომ დაჯაბნის ენგურის და ზღვის გაჩერებით.

ვხედავ, წვევიხართ ამ ცეკვებით უკრაინელებს,
სადაც სანგრებში მაგრდებიან ჩვენი მოძმენი,
იქ აღმართულხარ, ვაებათა მთესველ ჯალათთან,
მოშალეთ ფრაზა: „არ სწყალობსო მუზა ზარბაზნებს“,
მუზა ყოველთვის ბარიკადზე ებრძოდა ბოროტს,
როგორც უფალი სიკვდილით რომ ამარცხებს სიკვდილს.
იანუსია იმპერიის ორსახა სული,
იქით პუშკინით და ტოლსტოით ყელყელაობენ,
აქეთ ნიჩბებით მოთიბავენ ჩვენს ჭოველიძეთ,
ამ დროს ნიანგის ცრემლის ღვარღვარში,
ამ დროს ანჩარის შხამის ლივლივში,
ამ დროს ურჩხულის მძაფრი სისინით,
ესალტებიან მთელს მსოფლიოს, მთელს დედამიწას,
ა, სად დამდგარა თქვენი ცეკვა „ოტობაია“,
აი, სად გმინავს ჩემი სულის ქარტეხილები!

მარტო მიმქონდა, დედოფალო, დღემდე უღელი,
ახლა ეს ცეკვაც შემეშველა ტოლის დამდებად,
აწ ვინ, რომელი დააოკებს იმის ბორიალს,
ბასკმა პოეტმა, ეჩიპარემ რომ დაიქუხა:
„ეუსკარაო, ბასკის ენავ, გადიო ხალხში,
გადი ქუჩაში, მოედანზე, სულებზე გადი!“
აი, იმგვარად, საწიერზე ვივლით მარადის!

გური ოტობაია

# საერთო გაზეთის „იურიდიული კონსულტაცია“



„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი. ტელ.: 593 78 64 69

* * *

**— რას ნიშნავს კანონისმიერი მემკვიდრეობა?**

— ძალიან ხშირად შემოდის ასეთი შეკითხვა რედაქციაში.

კანონით მემკვიდრეობის დროს კანონი თვითონ არეგულირებს, ვის უნდა დარჩეს გარდაცვლილის (მამკვიდრებლის) ქონება და რა რაოდენობით. ამ დროს არსებობს მემკვიდრეთა რიგითობის პრინციპი (სულ 5 რიგი), რაც იმას ნიშნავს, რომ წინა რიგის თუნდაც ერთ-ერთი მემკვიდრის არსებობა გამორიცხავს შემდგომი რიგის მემკვიდრეობას.

კანონით მემკვიდრეებს რიგითობის მიხედვით მიეკუთვნებიან:

I რიგში — გარდაცვლილის შვილები, შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები, (მშვილებლები).

ქორწინების გარეშე შობილი ბავშვი მამის მემკვიდრედ ჩაითვლება, თუ მამობა აღიარებულია კანონით დადგენილი წესით.

ნაშვილები და მისი შთამომავლები, როგორც მშვილებლის ან მისი ნათესავების მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან მშვილებლის შვილებთან და მათ შთამომავლებთან. ნაშვილები აღარ მიიჩნევა კანონით მემკვიდრედ მისი მშობლებისა და აღმავალი ხაზის სხვა ბიოლოგიური ნათესავების, აგრეთვე, დებისა და ძმების გარდაცვალების შემდეგ.

შვილიშვილები, შვილიშვილისშვილები და ამ უკანასკნელთა შვილები კანონით მემკვიდრეებად ჩაითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის მათი მშობელი, რომელიც მამკვიდრებლის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, და თანასწორად იღებენ იმ წილს, რომელიც კანონით მემკვიდრეობის დროს მათ გარდაცვლილ მშობელს ერგებოდა.

შვილიშვილები, შვილიშვილისშვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილები ვერ გახდებიან მემკვიდრეები, თუ მათმა მშობლებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე. მშვილებელი და მისი ნათესავები, როგორც ნაშვილებისა და მისი შთამომავლობის მემკვიდრეები, გათანაბრებული არიან ნაშვილების მშობლებსა და სხვა ბიოლოგიურ ნათესავებთან. ნაშვილების მშობლებს, აღმავალი ხაზის სხვა ბიოლოგიურ ნათესავებსა და და-ძმებს აღარ ეკუთვნით კანონით მემკვიდრეობა ნაშვილების ან მისი შთამომავლების გარდაცვალების შემდეგ;

II რიგში — გარდაცვლილის და, ძმა, დისშვილი და ძმისშვილი იმ შემთხვევაში, თუ მისი მშობელი ცოცხალი აღარ არის მამკვიდრებლის გარდაცვალების დროისათვის;

III რიგში — ბებია, პაპა, ბებიის დედ-მამა, პაპის დედ-მამა როგორც დედის, ისე მამის მხრიდან; ბებიის დედ-მამა და პაპის დედ-მამა კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ბებია და პაპა ცოცხლები აღარ არიან;

IV რიგში — ბიძები, დეიდები, მამიდები;

V რიგში — ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები. ხოლო თუ ეს უკანასკნელნი არ არიან, მაშინ მათი შვილები.

სამკვიდრო ერთი რიგის მემკვიდრეთა შორის ნაწილდება თანაბრად. ამ დროს მემკვიდრეთა უფლებებს შორის არ არსებობს განსხვავება სამკვიდრო ქონებასთან მიმართებით. მემკვიდრეთა შორის სამკიდროს გაყოფაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

* * *

**— ითვალისწინებს თუ არა კანონმდებლობა უვადოდ თავისუფლებააღკვეთილებისათვის სასჯელის საკითხში სამომავლოდ რაიმე შეღავათებს?**

— დიახ, ითვალისწინებს.

მიგითითებთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლს.

მუხლი 721. სასჯელის სახით დანიშნული უვადო თავისუფლების აღკვეთის გადასინჯვა

1. თუ მსჯავრდებულმა, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა, ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცი წელი და წარმატებით გაიარა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამა, სასამართლო უფლებამოსილია იგი პირობით გაათავისუფლოს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან ამ კოდექსის 64-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამოსაცდელი ვადით. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელი ანგარიშის საფუძველზე, დანაშაულის ხასიათის, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევის, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტის, ნასამართლობის, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის, ოჯახური პირობებისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით.

2. თუ მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში:

ა) განზრახ თავი აარიდა მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, სასამართლო უფლებამოსილია ამ კოდექსის 72-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ორგანოების წარდგინებით დაადგინოს, რომ გაუქმდეს გამოსაცდელი ვადა და აღსრულდეს უვადო თავისუფლების აღკვეთა;

ბ) გაუფრთხილებლობითი დანაშაული ჩაიდინა, გამოსაცდელი ვადის გაუქმების ან ძალაში დატოვების საკითხს წყვეტს სასამართლო;

გ) განზრახი დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო უნიშნავს მას სასჯელს ამ კოდექსის 59-ე მუხლით დადგენილი წესით. იმავე წესით დაენიშნება მსჯავრდებულს სასჯელი გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენისათვის, თუ სასამართლო გააუქმებს გამოსაცდელ ვადას.

* * *

**— განქორწინებული მეუღლე არ მაძლევს თანხმობას ჩვენი არასრულწლოვანი შვილის საზღვარგარეთ გაყვანის შესახებ. არადა, ჩვენ ყველანი ერთად ვცხოვრობდით შვედეთში. ბავშვიც იქ დაიბადა. შემდეგ მეუღლემ მიმატოვა და დაბრუნდა საქართველოში. მე შვედეთში მაქვს მაღალანაზღაურებადი სამსახური, ჩემი ვაჟიც იქ მყავს, დადის საბავშვო ბაღში და ა. შ. ბავშვი დაიბადა ჩვენი განქორწინების შემდეგ. მამას ის არასოდეს მოუკითხავს. მინდა ჩამოვიდე საქართველოში, მაგრამ იმის შიშით ვერ ჩამოვდივარ, რომ ვიცი, თანხმობას არ მომცემს ბავშვის უკან წამოყვანაზე, ოღონდ არა შვილის სიყვარულის გამო, არამედ, ჩემთან დაპირისპირების გამო, თორემ მას შვილი თვალითაც არ უნახავს. მითხრეს, რომ შეიძლება, ეს სასამართლო წესით დარეგულირდეს. როგორ მოხდება ეს?**

დიახ, ეს შესაძლებელია სამოქალაქო კანონმდებლობით, რომელიც ითვალისწინებს მშობლის ზოგიერთი უფლების შეზღუდვას. ძირითადად, სასამართლო პრაქტიკაში ზუსტად ამ ტიპის დავებია. კერძოდ, მოსარჩელეები ითხოვენ შვილის საზღვარგარეთ გაყვანისა და, ასევე, ბავშვის პასპორტის აღების ნაწილში მშობლის უფლების შეზღუდვას. ბუნებრივია, მოთხოვნა უნდა იყოს დასაბუთებული და გამომდინარე არასრულწლოვნის ინტერესებიდან.

* * *

**— ჩემი ქალიშვილი 2021 წლის ივნისის თვეში გათხოვდა. ისინი განქორწინებას აპირებენ. ეკუთვნის თუ არა ჩემს ქალიშვილს ქმრის ქონებიდან წილი?**

— რამდენადაც ჩვენი სატელეფონო საუბრიდან გაირკვა, ახლადსეუღლებულებს ქორწინების განმავლობაში ერთობლივად არაფერი შეუძენიათ, ასევე, სახლ-კარი, რომელზედაც პრეტენზია გაუჩნდა რძალს, ირიცხება არა მეუღლის, არამედ, მისი მშობლების საკუთრებაში. შესაბამისად, თქვენი ქალიშვილი განქორწინების შემდეგ ვერაფერს მიიღებს. აქვე დავძენ, რომ ქონება, თუ ერთად ცხოვრების მანძილზე არ იქნა შეძენილი / იგულისხმება რეგისტრირებული ქორწინება მხოლოდდამხოლოდ!/თუნდაც, რიცხული ყოფილიყო მეუღლის საკუთრებაში, გაყოფას მაინც ვერ დაექვემდებარებოდა. ასევე, ჩვენი საუბრიდან გაირკვა, რომ თქვენი ქალიშვილი არც ფეხმძიმედაა, მომავალ შვილთან დაკავშირებით რომ გარკვეული თემები განგვეხილა.

თანაგრძნობას ვუცხადებთ ჩვენს კოლეგას, პოეტ გია ჯიჭონაიას დედის

ჟული გოგიას

გარდაცვალების გამო.

ვახტანგ ხარჩილავა,
გური ოტობაია, ზაურ კალანდია

# ყველაზე ხანმოკლე ომები კაცობრიობის ისტორიაში

ადამიანები ყოველთვის ომობდნენ საკვების, ტერიტორიებისა თუ იდეების გამო. ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად სრულყოფილი ხდებოდა იარაღი და მოლაპარაკებების წარმართვის უნარიც, ამიტომ ზოგიერთი ომი ძალიან მალე მთავრდებოდა. სამწუხაროდ, ჯერ ვერ ვისწავლეთ, როგორ ვაწარმოოთ საომარი მოქმედებები ადამიანური დანაკარგის გარეშე...

**განკითხვის დღის ომი** (18 დღე). არაბული ქვეყნების კოალიციასა და ისრაელს შორის ეს ომი, ახალგაზრდა ებრაული სახელმწიფოსთვის ახლო აღმოსავლეთში გამართული მეოთხე საომარი კონფლიქტი იყო.


ინდოეთ-პაკისტანის ომი

სამხედრო შეჭრა ისრაელისთვის სრული მოულოდნელობა იყო და პირველი ორი დღე არაბული კოალიციის წარმატებით დასრულდა. რამდენიმე დღის შემდეგ გამარჯვება უკვე ისრაელის მხარეს იყო. სსრ კავშირმა კოალიციის მხარე დაიკავა და გააფრთხილა ისრაელი იმ მძიმე შედეგების შესახებ, რომლებიც მას ომის გაგრძელების შემთხვევაში დაემუქრებოდა. ამ დროისთვის ისრაელის არმია დამასკოსთან, ქაიროდან 100 კმ-ში იყო განლაგებული. ისრაელი იძულებული გახდა, გაეწვია თავისი ჯარი. სამხედრო მოქმედებები 18 დღეს გრძელდებოდა. ისრაელის ჯარის დანაკარგი 3 ათასი ადამიანი იყო, ხოლო არაბული სახელმწიფოების კოალიციისა — 20 ათასი.

**სერბეთისა და ბულგარეთის ომი** (14 დღე). 1885 წლის ნოემბერში სერბეთის მეფემ ომი გამოუცხადა ბულგარეთს. საომარი მოქმედებების ორი კვირის განმავლობაში ორივე მხრიდან 2500 ადამიანი დაიღუპა, დაიჭრა დაახლოებით 9 ათასი ჯარისკაცი. მშვიდობას ხელი 1885 წლის 7 დეკემბერს ბუქარესტში მოეწერა. ამ მშვიდობის შედეგად აღმოსავლეთ რუმელია ბულგარეთის შემადგენლობაში დარჩა.

**ინდოეთისა და პაკისტანის მესამე ომი** (13 დღე). 1971 წელს ინდოეთი პაკისტანში მიმდინარე სამოქალაქო ომში ჩაერთო. მაშინ პაკისტანი ორ ნაწილად იყო გაყოფილი — აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილად. აღმოსავლეთ პაკისტანის მოსახლეობა დამოუკიდებლობაზე აცხადებდა პრეტენზიას. მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო. მრავალრიცხოვანმა დევნილებმა ინდოეთი წალეკეს.

ინდოეთი დაინტერესებული იყო ძველი მოწინააღმდეგის დამარცხებაში და პრემიერმა ინდირა განდიმ ჯარის შეყვანის შესახებ ბრძანება გასცა. ცამეტი დღის განმავლობაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების შემდეგ ინდოეთის ჯარებმა დასახულ მიზანს მიაღწიეს — აღმოსავლეთ პაკისტანმა დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსი მიიღო. ახლა მას ბანგლადეში ეწოდება.

**ექვსდღიანი ომი**. 1967 წლის 6 ივნისს ახლო აღმოსავლეთში კიდევ ერთი კონფლიქტი განვითარდა. ამ ომმა ექვსდღიანი ომის სახელწოდება მიიღო და ახლო აღმოსავლეთის უახლეს ისტორიაში ყველაზე დრამატული გახდა. ფორმალურად საომარი მოქმედებები ისრაელმა დაიწყო, რომელმაც პირველმა მიაყენა საჰაერო დარტყმა ისრაელს. თუმცა ერთი თვით ადრე ეგვიპტის ლიდერი ქამალ აბდელ ნასერი მოუწოდებდა, გაენადგურებინათ ებრაელები, როგორც ერი. ამ პატარა ქვეყნის წინააღმდეგ 7 ქვეყანა გაერთიანდა.

ისრაელმა ძლიერი დარტყმა მიაყენა ეგვიპტის აეროდრომებს და შეტევაზე გადავიდა. ექვსი დღის განმავლობაში განხორციელებული შეტევების შედეგად ისრაელმა დაიპყრო სინას ნახევარკუნძული, იუდეა და სამარია, ჰოლანის სიმაღლეები და ღაზას სექტორი. გარდა ამისა, აღმოსავლეთ იერუსალიმი. ისრაელმა დაკარგა 679 ადამიანი, 61 ტანკი, 48 თვითმფრინავი. არაბულმა მხარემ კი 70 000 ადამიანი და დიდი რაოდენობით სამხედრო ტექნიკა.


ზანზიბარის ომი

**ომი ფეხბურთის გამო** (6 დღე). სალვადორმა და ჰონდურასმა ომი მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობის უფლების მოპოვების გამო შესარჩევი მატჩის შემდეგ დაიწყო. მეზობლებს ოდითგან ტერიტორიული პრობლემები ჰქონდათ. ჰონდურასის იმ ქალაქში, სადაც მატჩები ტარდებოდა, მასობრივი არეულობები და ორი ქვეყნის გულშემატკივრებს შორის ხელჩართული ჩხუბები გაიმართა. ამის შედეგად, 1969 წლის 14 ივლისს ჰონდურასსა და სალვადორს შორის პირველი საომარი კონფლიქტი გაიმართა. მათ ერთმანეთის თვითმფრინავები ჩამოაგდეს, მოხდა ორივე ქვეყნის დაბომბვა და სახმელეთო ბრძოლები. 18 ივლისს მხარეები მოლაპარაკებებზე შეთანხმდნენ. 20 ივლისისთვის შეწყდა საბრძოლო მოქმედებები. ორივე ქვეყნის ეკონომიკებს უდიდესი ზარალი მიადგა. დაიღუპნენ ადამიანები, უმრავლესობა მშვიდობიანი მოქალაქე იყო. ვარაუდობენ, რომ ამ კონფლიქტის შედეგად დაახლოებით 6 ათასი ადამიანი გარდაიცვალა ორივე მხრიდან.

**ეგვიპტისა და ლიბიის ომი** (4 დღე). კონფლიქტი ეგვიპტესა და ლიბიას შორის 1977 წელს მომხდარი კონფლიქტი რამდენიმე დღეს გაგრძელდა და არავითარი ცვლილებები არ გამოუწვევია. საბჭოთა კავშირის მეგობარმა მუამარ კადაფომ პროტესტის მარშის ინიცირება მოახდინა ეგვიპტისა და აშშ-ს პარტნიორული ურთიერთობის გამო და ისრაელთან დიალოგის გამართვა გადაწყვიტა. აქცია რამდენიმე ლიბიელის დაკავებით დასრულდა. კონფლიქტი სწრაფად გადაიზარდა საომარ მოქმედებებში. ომს ლიბიასა და ეგვიპტეს შორის არაფერი შეუცვლია. ოთხი დღის განმავლობაში ორივე ქვეყანამ რამდენიმე სატანკო და საჰაერო ბრძოლა განახორციელა, ეგვიპტელების ორმა დივიზიამ ლიბიის ქალაქი მუსაიდი დაიკავა. საბოლოოდ საომარი მოქმედებები შეწყდა და მესამე პირების დახმარებით მშვიდობამ დაისადგურა.

**ომი პორტუგალიასა და ინდოეთს შორის** (36 საათი). ომის ინიცირება ინდოეთის მხარემ მოახდინა. დეკემბრის შუა რიცხვებში ინდოეთმა ინდოსტანის ნახევარკუნძულზე პორტუგალიის კოლონიის მასირებული სამხედრო შეტევა განახორციელა. საომარი მოქმედებები ორ დღეს გრძელდებოდა და სამი მხრიდან ხორციელდებოდა — ტერიტორიას ბომბავდნენ ჰაერიდან, მოდმუგანის ყურეში ინდოელებმა პორტუგალიის მრავალრიცხოვანი ფლოტი გაანადგურეს, ხოლო გოაში რამდენიმე ფეხოსანი დივიზია შეიჭრა. პორტუგალია დღემდე მიიჩნევს, რომ ინდოეთის მოქმედება თავდასხმა იყო, კონფლიქტის მეორე მხარე ამ ოპერაციას განმათავისუფლებელს უწოდებს. პორტუგალიამ ოფიციალურად გამოაცხადა კაპიტულაცია 1961 წლის 19 დეკემბერს, ომის დაწყებიდან დღე-ნახევრის შემდეგ.

**ომი ინგლისსა და ზანზიბარს შორის** (38 წუთი). იმპერიული ძალების ზანზიბარის სასულთნოში შესვლა გინესის რეკორდების წიგნში შევიდა, როგორც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ხანმოკლე ომი. დიდ ბრიტანეთს არ მოეწონა ქვეყნის ახალი მმართველი, რომელმაც ხელისუფლება ბიძაშვილის გარდაცვალების შემდეგ მიიტაცა. იმპერიამ მოითხოვა, ძალაუფლება ინგლისის პროტეჟეს ჰამუდ ბინ მუჰამედისთვის გადაეცათ და უარის შემდეგ, 1896 წლის 27 აგვისტოს, ბრიტანეთის ესკადრა კუნძულის სანაპიროებს მიადგა. ბრიტანეთის ულტიმატუმის დროის ამოწურვის შემდეგ ორი კრეისერი და სამი კანონერის ნავი შეტევაზე გადავიდა. ზანზიბარის ერთადერთი ხომალდი ჩაიძირა, სულთნის სასახლე ცეცხლმა მოიცვა. სულთანი გაიქცა, ქვეყნის დროშა ინგლისელმა ადმირალმა ჩამოაგდო. საერთაშორისო ნორმებით დროშის წაქცევა კაპიტულაციას ნიშნავს. კონფლიქტი სულ 38 წუთს გაგრძელდა. კონფლიქტის შედეგად 570 ადამიანი დაუღუპა, ყველა მათგანი ზანზიბარელი იყო.



ფეხბურთის ომი

ბელა გველესიანი
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს
„ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99